ლელო

№ 37
(11 289)

18 – 20 მაისი, 1999 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან





# ევერესტზე, ნახევარი საათით, ცასა და დედამიწას შორის, ქართული დროშაც ფრიალებდა

ვინ იცის, სხვისგან დამოუკიდებლად, ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინათ უნდა დაეპყრო ქართველ ალპინისტებს მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი — ევერესტი. უკიდეგანო საბჭოეთმა ალპინიზმის ჩასახვისა და განვითარების ისტორია საქართველოდან გაიზიარა და თავისად აქცია იგი, თვით მეაკვნეს კი საბჭოთა დელეგაციაში ევერესტზე ფეხშედგმაც არ ეღირსეს. მხოლოდ ამ რამდენიმე წლის წინათ, რუსთა დელეგაციაში ერთი ჩვენებური ჩართეს — რომან გიუტაშვილი პირველი ქართველი იყო, ვინც მაშინ თაობათა ოცნებას ფრთები შეასხა — თაღიდან გადმოხედა დედამიწას.

მაგრამ მთავარი — ქართველთა, ბოლოს და ბოლოს კავკასიელთა ჯგუფს დაეპყრო ოცნების მწვერვალი, განუხორციელებელი რჩებოდა. მაგრამ ახლა ესეც აღსრულდა. ექსპედიციამ, რომელშიაც შედიოდნენ ბენო ქაშაკაშვილი (ხელმძღვანელი), ბიძინა გუჯაბიძე, აფი გიგანი და ლევან სარქისოვი, წარმატებით დალაშქრა ჰიმალაის მთიანეთის უმაღლესი მწვერვალი ევერესტი (8.848 მ). გადამწყვეტი შეტევის წინ გუჯაბიძემ და აზერბაიჯანელმა არიდან მურსაკულოვმა თავი შეუძლოდ იგრძნეს. გუჯაბიძე მაინც ავიდა მწვერვალზე, მურსაკულოვი კი ბედს დანებდა. პირველი იერიშისას ამინდი გაუარესდა, 8400 მ-ზე ბანაკი ვერ დადგეს და ჩვენები საიერიშო ბაზას დაუბრუნდნენ. შემდეგ ამინდი გამოკეთდა, თუმცა სიმაღლე ჩვენებმა მაინც რთულ მეტეოროლოგიურ ვითარებაში დალაშქრეს. სარქისოვმა ასაკობრივი რეკორდი 2 დღით გააუმჯობესა — იგი 60 წლის და 152 დღისა ავიდა ევერესტზე. ახლა ჩვენები ბანაკების აშლას და დაშვებას შეუდგნენ.

ექსპედიციის დევიზი იყო „კავკასია-უკომფლიქტოდ!“

# ოლიმპიზმის აღიარებული მესაჭე თბილისში

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის სტუმრობა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში განსაკუთრებული მოვლენად აღიქმება. ეს კაცი მთელს მსოფლიოში ძალზე ბევრს მოგზაურობს და ჩვენს ქვეყანასაც აგერ უკვე მეორედ ეწვია. სამარანჩი ადრეც შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს, ახლა კი ხელდამშვენებული გვეწვია — მსოფლიოს ოლიმპიური მოძრაობის ორი უმაღლესი ჯილდო — ოლიმპიური ორდენი ჩამოიტანა, რომელიც ერთი ედუარდ შევარდნაძეს, მეორე — სეოკის პრეზიდენტს ჯანსულ ბაგრატიონს გადასცა. სამარანჩი ოფიციალურად შეხვდა საქართველოს პრეზიდენტსა და სახელმწიფო მინისტრს ვაჟა ლორთქიფანიძეს. ეს მოხდა ოლიმპიურ კომიტეტში სტუმრობისა და მოსწავლეთა სასახლეში სპორტსმენებთან, საქართველოს ოლიმპიური მოძრაობისა და სპორტის მუშაკებთან შეხვედრის შემდეგ. სამარანჩმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს ოლიმპიელები კვლავაც წარმატებით იასპარეზებენ სიდნეიში და თამაშებისთვის მომზადების პროცესში მათ უნდა ჰქონდეთ სოკის მხარდაჭერისა და თანადგომის იმედი.



სამარანჩმა და მისმა თანმხლებმა სტუმრებმა დღის მეორე ნახევარში ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სამოფენო დარბაზი დაათვალიერეს. სასტუმრო „შერატონ მეტეხ პალასში“ გამართული პრესკონფერენციის შემდეგ დელეგაცია გუშინვე საღამოს გაემგზავრა თბილისიდან.

## საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ორშაბათის რადიოინტერვიუდან:

„ხუან ანტონიო სამარანჩი მეორედ გვეწვია საქართველოში. იგი დიდ დახმარებას უწევს ჩვენს ოლიმპიელებს — მატერიალურად, ფინანსურად, მორალურად და ყოველ მხრივ. ახლანდელი მისი ჩამოსვლა უდავოდ მძლავრ ბიძგს მისცემს მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის ჩვენი სპორტსმენების მაღალ დონეზე მომზადებას. ჩვენ ასეთი ყოველმხრივი დახმარება გვჭირდება. მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი სწორედ ამ მიზნითაც ჩამოდის საქართველოში. მივესალმები მსოფლიოში აღიარებული დიპლომატის სტუმრობას ჩვენს ქვეყანაში“.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში (II წრე)

# ათგზის ჩემპიონი!

საქართველოს X საიუბილეო საფეხბურთო ჩემპიონატის დამთავრებამდე ზედიზედ მეათედ, გამარჯვება წილად ხვდა ქართული ფეხბურთის ფლაგმანს — თბილისის „დინამოს“. სტატისტიკოსები ყველაფერს ითვლიან და სულაც არ იყო ძნელი დასადგენი, რომ ჩვენი „დინამო“ ახლა თურმე რეკორდსმენია ევროპაში — ზედიზედ ათჯერ არც ერთი ქვეყნის საფეხბურთო კლუბს არ მოუპოვებია ჩემპიონობა ჩვენს კონტინენტზე. თუმცა, მტკ-ა თავის დროზე, 1914 წელს, ქვეყნის ჩემპიონი გახდა, მერე ჩემპიონატი ომის გამო შეწყდა და 1916 წლიდან ამ გუნდმა ზედიზედ 9-ჯერ მოიპოვა პირველობა.

სამი ტურით ადრე, რომ ცნობილი ხდება ჩემპიონის და თითქმის პრიზიორთა ვინაობა, იშვიათობაა. თითქმისო ვამბობთ, იმიტომ, რომ ფეხბურთში თეორიულ შანსსაც ეწევა ანგარიში, დარჩენილ სამ ტურში კი ვინ იცის რა მოხდება.

განსაკუთრებით ინტერესს იწვევს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე გუნდების ვინაობა. დღემდე ცნობილი იყო 73-დან მხოლოდ 26, ახლა კი მათ თბილისის „დინამოც“ მიემატა. ჩემპიონთა ლიგაში 1999-2000 წლებისთვის ჩვენი საფეხბურთო კლუბი როგორც ამას წინათ გახდა ცნობილი, სერიოზულად მოემზადება და სპონსორთა ხელშეწყობით, როგორც არასდროს, თავგამოდებით იბრძოლებს წარმატებისთვის.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ.) | 28 | 22 | 5 | 1 | 83-16 | 71 |
| ტორპედო(ქუთ.) | 28 | 19 | 4 | 5 | 67-26 | 61 |
| ლოკომოტივი(თბ.) | 28 | 16 | 10 | 2 | 36-13 | 58 |
| კოლხეთი(ფოთი) | 28 | 14 | 6 | 8 | 54-35 | 48 |
| დინამო (ბთ.) | 27 | 10 | 11 | 6 | 35-20 | 41 |
| ვიტ-ჯორჯია (თბ.) | 28 | 13 | 4 | 11 | 41-29 | 40 |
| მერანი (თბ.) | 28 | 10 | 9 | 9 | 27-28 | 39 |
| არსენალი (თბ.) | 28 | 9 | 11 | 8 | 34-41 | 38 |
| იბერია (სამტრ.) | 28 | 10 | 5 | 13 | 40-43 | 35 |
| დილა (გორი) | 28 | 10 | 5 | 13 | 36-48 | 35 |
| გორდა (რუსთ.) | 28 | 7 | 10 | 11 | 26-40 | 31 |
| სამგურალი(წყალტ.) | 28 | 9 | 3 | 16 | 30-51 | 30 |
| სიონი (ბოლნ.) | 28 | 7 | 7 | 14 | 26-47 | 28 |
| თსუ (თბ.) | 27 | 6 | 9 | 12 | 23-34 | 27 |
| ოდიში (ზუგდ.) | 28 | 6 | 2 | 20 | 20-58 | 20 |
| გურია (ლანჩხ.) | 28 | 3 | 3 | 22 | 29-78 | 12 |

„ვიტ-ჯორჯიას“ დაკლებული აქვს 3 ქულა.

ჭადრაკი • მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირი ქალთა შორის

# ქართველების 5 საგზური

კვირას დამთავრდა მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირი ქალთა შორის, რომელსაც 10 დღე მასპინძლობდა თბილისის სპორტის სასახლე.

უკანასკნელი, მეცხრე ტურის წინ ცნობილი იყო მხოლოდ ერთი რამ: საგზური უკვე მოიპოვა დიდოსტატმა ნინო ხურციძემ, რომელმაც მთელი შეჯიბრება ყველაზე უკეთ წარმართა. მისი უპირატესობა სხვებთან შედარებით იმდენად აშკარა იყო, რომ ზოგჯერ ნინო თავის თავს შესვენების, მოკლე ყაიმების ნებასაც კი აძლევდა. ასე მოხდა ბოლო ტურშიც: ხურციძემ სწრაფად დაასრულა შეხვედრა ყაიმით მკრტიჩიანთან, მოაგროვა 7 ქულა ცხრიდან და გაინაღდა პირველი ადგილი. პირდაპირ ვთქვათ — დიდი და ბრწყინვალე, სავსებით დამსახურებული გამარჯვებაა. მივულოცოთ ნინო ხურციძეს, რომელმაც წლეულს ნამდვილად შეგვაჩვია პირველ ადგილებს.

ამასთან, მილოცვის ღირსი კიდევ 4 ქართველი მოჭადრაკე აღმოჩნდა, თუმცა სჯობს ყველაფერზე თანმიმდევრულად ვილაპარაკოთ. უკვე მერვე ტურში ინგა ხურცილავამ, რომელსაც თითქოს ძალიან უნდა გასჭირვებოდა შვიდეულში მოხვედრა, ჩინებული სტილით მოუგო იუგოსლავიის წარმომადგენელ პრუდნიკოვას, რომელიც აქამდე მას ქულით უსწრებდა. ამის შემდეგ ინგამ ბოლო ტურში ყაიმით დაასრულა შეხვედრა იუგოსლაველ ბოიკოვიჩთან. ასეთი შედეგი უკვე ორივე მოჭადრაკეს აძლევდა ხელს, მერვე ტურში რუსუდან გოლეთიანმა შავებით პრინციპული პარტია მოუგო ფინალში გასვლის კიდევ ერთ პრეტენდენტ დანიელიანს, ამით გზიდან ჩამოიცილა იგი და, იმის მიუხედავად, რომ ბოლო პარტია წააგო მანაკოვასთან (იუგოსლავია), გაინაღდა საგზური. ბოიკოვიჩის წარმატებაზე უკვე ვილაპარაკეთ. ახლა კი განსაკუთრებით უნდა გავუსვათ ხაზი 15 წლის თელაველი გოგონას ლელა ჯავახიშვილის პირდაპირ გასაოცარ მიღწევას. შეჯიბრების ამ ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეს 4 ტურის შემდეგ ჰქონდა... სულ ერთი ქულა. ვინ იფიქრებდა, რომ დებიუტანტი, ასეთი დონის ასპარეზობაში, ზედიზედ, ვითომც აქ არაფერიაო მოიგებდა დარჩენილ 5 პარტიას და კიშინიოვის საგზურს დაეუფლებოდა?!. თუ მერვე ტურში ხლგატიანს ლელამ სავსებით დამაჯერებლად მოუგო, მეცხრეში, გადამწყვეტ შეხვედრაში უკვე ეფექტური, გამანადგურებელი იერიშით სძლია უშუალო კონკურენტს, მრავალნაცად პრუდნიკოვას, ადრე რუსეთის ერთ-ერთ უძლიერეს დიდოსტატს, რომელიც ახლა იუგოსლავიის სახელით გამოდის. შეიძლება ცოტა ბანალური გამოთქმაც კია, მაგრამ ჩვენ ნამდვილად სიტყვები არ გვყოფნის აღტაცების გამოსახატავად! რო-

იხ. მე-2 გვ.

ევროპის ჩემპიონატიდან ერთი ვერცხლის მედლით

ბერძნულ-რომაული ჭიდაობის საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა, რომელშიაც 7 ფალავანი შედიოდა, სოფიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატში მხოლოდ ერთი საპრიზო ადგილი მოიპოვა პირად პირველობაში — ვერცხლის მედალი წილად ხვდა სამტრედიელ აკაკი ჩიჩუას (63 კგ). გარდაბნელი ტარიელ მელელაშვილი IV ადგილზე გასულა. დაუზუსტებელი ინფორმაციით კიდევ ერთ ჩვენს ფალავანს დაუკავებია V თუ VI ადგილი. ნაკრები შინ დღეს დაბრუნდება.



აკაკი ჩიჩუა

რეპლიკა

# ეს უკვე მეტისმეტია!

უპასუხისმგებლობას გაუთამამდნენ ჩვენი ეროვნული ნაკრები გუნდების უფროსი მწვრთნელები. უცხოეთში გამართული შეჯიბრებების შედეგების თაობაზე ოჯახებში უფრო ხშირად რეკავენ, ვიდრე თუნდაც მიმავლინებელ სპორტულ ორგანიზაციაში. არადა, ამ პრობლემის სალიკვიდაციოდ, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა საგანგებო ბრძანებაც კი გამოსცა, რომლის თანახმად სამივლინებო ხარჯებში ინფორმაციის დაუყოვნებლივ მოწოდების თანხაცაა გათვალისწინებული. ხოლო გადმოცემულ ინფორმაციას ვინც მიიღებს, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს დეპარტამენტის პრესსამსახურს. სამწუხაროდ, დრო გადის ნაკრები გუნდები მიდიან და მოდიან, დროული ინფორმაცია კი არ ჩანს, მით უფრო თუ გუნდები შინ ხელმოცარულები ბრუნდებიან. დიდხანს ვიკავებდით თავს საჯარო საყვედურისგან, მაგრამ მეგობრულმა თხოვნამაც რომ არ გასჭრა!

თავისუფალი ჭიდაობა კადეტთა საქართველოს პირველობა

# სასწაული: მონაწილეთა რეკორდსაც ვეღირსეთ

თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს პირველობების ისტორიაში პირველად დაფიქსირდა მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობა. ამჯერად კადეტთა პირად-გუნდურ ასპარეზობაში 231 სპორტსმენი გამოვიდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ადგილებზე გაიზარდა ინტერესი სპორტისადმი. კარგია, რომ ორგანიზატორებმა, როგორც ეს ადრე იყო და გარკვეულ ინტერესს იწვევდა, გამარჯვებულები სპორტულ საზოგადოებებსა და სპორტკლუბებს შორისაც გამოავლინა.

ოლიმპიური რეზერვის სასწავლებელს (დირექტორი მერაბ მეტრეველი) ისე შეეჩვიენ ფალავნები სხვა სარბიელისკენ გახედვაც აღარ უნდათ — პირობები და მასპინძლობაა ყოველთვის ერთი მეორეზე უკეთესი და იმიტომ. ახლა ეს შეჯი-

იხ. მე-2 გვ.

ქუთათურთა სპორტული მატიანე

რუბრიკას უძღვება ზურაბ ჯავახაძე



# ქუთაისის ფეხბურთი 90 წლისაა

1926 წელს ქუთაისის საფეხბურთო ცხოვრებაში მთელი რიგი ცვლილებები მოხდა. გადასახალისდა ფეხბურთის „ქვეგანაწევრის“ ფედერაციის შემადგენლობა, რომელშიც არჩეულნი იქნენ ახალი წევრები გ. კილაძე, კ. ფაჩულია, შ. იმედაძე, ბ. გოგიძე და ი. კოტინოვი.

1928 წლის ივნისში ქუათისში სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ბაზაზე არსდება ამავე სახელწოდების ფეხბურთელთა გუნდი. სულ მალე ქუთაისის დინამოელებმა ფართოდ გაითქვეს სახელი ჩვენს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც. შეიძლება თამამად ითქვას, რომ არსებობის სამი ათეული წლის მანძილზე ქუთაისის „დინამოს“ სახელთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩვენი ქალაქის საფეხბურთო ცხოვრება. მეტიც, მესამედი საუკუნის მანძილზე ქუთაისის „დინამო“ იყო ჩვენი ქალაქის საფეხბურთო ცხოვრების თავისებური ეტალონი.

გივი კილაძე, ბონდო კუტალაძე, ვალია მიხაილოვი, გერონტი ხადიაროვი, ჯაბელო ბერულავა, ვანო კაპანაძე, კაკული ასათიანი, ღუტუშა ასათიანი, ალიოშა მარუაშვილი, პეტრე ჯაფარიძე, საშა ალიმონაკი, ჟორა მურღულია, დარჩია ხახელაშვილი, — აი, ის პირველი ფეხბურთელები, რომლებსაც წილად ხვდათ პატივი და დიდება რესპუბლიკურ, ხოლო ცოტა უფრო გვიან, საკავშირო სარბიელზე დაეცვათ მშობლიური ქალაქის სპორტული ღირსება.

1931 წლის 15 სექტემბერს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ქუთაისის „დინამოს“ სტადიონი. ზეიმში მონაწილეობდნენ დელეგაციები სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან.

1931 წლის 12 ოქტომბერს ქუთაისს სტუმრად ეწვია ყირიმის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. მართალია, პირველ მატჩში სტუმრებმა ანგარიშით 6:0 დაამარცხეს პროფკავშირების ნაკ-

დასაწყისი. იხ. „ლელო“ №36

იხ. მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველების 5 საგზური

*(პირველი გვერდიდან)*

ცა გადამწყვეტი მომენტი დადგა, თავისი ძალების სრული რწმენა და მტკიცე ნებისყოფა გამოავლინა ქუთაისელმა სოფიკო ტყეშელაშვილმა, რომელმაც მერვე ტურში ჯერ ყოფილ ქუთაისელ ეკატერინე ფახირიდუს სძლია, მეცხრეში კი ჩინებულად ჩატარებულ ენდშპილში — გასპარიანს.

ამრიგად, ექვს-ექვსი ქულით მეორე-მეშვიდე ადგილები ექვსმა მოჭადრაკემ გაიყო, დამატებითი მონაცემებით კი ისინი ცხრილში ასე განლაგდნენ: 2. ინგა ხურცილავა, რომელმაც დიდოსტატის პირველი ბალი მოიპოვა. 3. რუსუდან გოლეთიანი, რომელიც ელის დიდოსტატის წოდებას. 4. ნატაშა ბოიკოვიჩი (იუგოსლავია). 5. ლელა ჯავახიშვილი, რომელსაც ასეთი წარმატებისათვის, გამონაკლისის სახით, ყოველგვარი წინასწარი ბალების მოგროვების გარეშე, პირდაპირ მიენიჭება საერთაშორისო ოსტატის წოდება, რაც, თუ გნებავთ, მაია ჩიბურდანიძის ადრინდელი რეკორდის გამეორებაა. 6. მარია მანაკოვა (იუგოსლავია). 7. სოფიკო ტყეშელაშვილი. მივულოცოთ ამ გამარჯვებულებსაც.

როცა საგზური სულ შვიდია, მონაწილე კი 32, ცხადია ბევრი მოჭადრაკე მეტნაკლებად უკმაყოფილო დარჩებოდა. ეს, პირველ რიგში, მაია ლომინეიშვილზე ითქმის, რომელსაც ჯერ ერთი, ტურნირში მეხუთე რეიტინგი ჰქონდა, და გარდა ამისა, 4 ტურის შემდეგ 3,5 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობდა კიდეც შეჯიბრებას. შემდეგ კი, არ ვიცით, რა მოხდა! შეიძლება მაიამ ტურნირი ნაადრევად დამთავრებულად მიიჩნია, მეტოქეები ჯეროვნად არ შეაფასა. უკანასკნელი ტურის წინ მაიას კიდევ ჰქონდა ფინალში გასვლის შესაძლებლობა. ამისათვის საჭირო იყო თეთრებით დანიელიანის დამარცხება. ლომინეიშვილმა საკმაოდ სწრაფად მოიგო ხარისხი, თითქოს მის გამარჯვებას ბევრი აღარაფერი უკლდა, მაგრამ მაია ზედიზედ შეცდა და უკვე მძიმე ენდშპილში აღმოჩნდა. აქ სომეხმა მოჭადრაკემ ერთი სვლით „დაუსვა“ ლაზიერი და პარტიაც დათმო. რისთვისაც მსაჯთა კოლეგიამ ორივე მეტოქეს წაგება ჩაუთვალა! მართალია, ორივე მხარემ ეს გადაწყვეტილება გააპროტესტა.

უკანასკნელ ტურამდე შვიდეულისათვის იბრძოდა აგრეთვე ანა მათნაძე, მაგრამ მან წააგო ფახირიდუსთან. სულ ცოტა დააკლდა ფინალში გასვლამდე სოფიკო ნიკოლაძესაც. ნიკოლაძემ 5,5 ქულით დაასრულა შეჯიბრება, ლომინეიშვილმა, მათნაძემ და ეძგვერაძემ მოაგროვეს 5-5 ქულა, ხორავამ, დარჩიამ, წურწუმიამ და გვეტაძემ — 4,5-4,5. საინტერესოა, რომ 15 წლის გვეტაძემ საერთაშორისო ოსტატის პირველი ბალი მოიპოვა. 3,5-3,5 ქულა აქვთ ხმიადაშვილსა და მაისურაძეს.

ახლა უკანასკნელი ტურების ტექნიკურ შედეგებს გადავხედოთ: მეექვსე ტური — ხურციძემ მოუგო ნიკოლაძეს, ხორავამ — ვუკსანოვიჩს, ჯავახიშვილმა — ბოტსარი-მილადინოვიჩს, გასპარიანმა — ხლგატიანს, ყაიმზე შეთანხმდნენ წურწუმია — დარჩია. მეშვიდე ტური — გოლეთიანმა მოუგო ვუკსანოვიჩს, ხურცილავამ — ჩინარს, ჯავახიშვილმა — პეტრაკის, ჭარხალაშვილმა — სანლის, მაისურაძემ — სისმანს, წურწუმიამ — სტირის, ხლგატიანმა — ხმიადაშვილს, გვეტაძემ — მაკროპულუს, პრუდნიკოვამ — მათნაძეს, მანაკოვამ — ლომინეიშვილს, ნიკოლაძემ — გასპარიანს. ყაიმზე შეთანხმდნენ ბოიკოვიჩი — ხურციძე, დარჩია — ბოტსარი-მილადინოვიჩი, ფახირიდუ — ეძგვერაძე. მერვე ტური — ხურციძემ მოუგო მანაკოვას, ხურცილავამ — პრუდნიკოვას, გოლეთიანმა — დანიელიანს, ბოიკოვიჩმა — ნიკოლაძეს, ტყეშელაშვილმა — ფახირიდუს, მათნაძემ — ჩინარს, გასპარიანმა — ხორავას, ჯავახიშვილმა — ხლგატიანს, ბოტსარ-მილადინოვიჩმა — წურწუმიას, მაკროპულუმ — მაისურაძეს, ჭარხალაშვილმა — პეტრაკის, დარჩიამ — სტირის, ეძგვერაძემ — სანლის, ხმიადაშვილმა — სისმანს. ყაიმზე შეთანხმდნენ მკრტიჩიანი — ლომინეიშვილი, ვუქსანოვიჩი — გვეტაძე. უკანასკნელი მეცხრე ტური — ჯავახიშვილმა მოუგო პრუდნიკოვას, ტყეშელაშვილმა — გასპარიანს, ნიკოლაძემ — ვუკსანოვიჩს, ეძგვერაძემ — მაისურაძეს, მანაკოვამ — გოლეთიანს, ფახირიდუმ — მათნაძეს, წურწუმიამ — სანლის, მაკროპულუმ — სისმანს, ხმიადაშვილმა — სტირის, ჭარხალაშვილმა — ჩინარს, ხლგატიანმა — გვეტაძეს. ყაიმზე შეთანხმდნენ მკრტიჩიანი — ხურციძე, ბოიკოვიჩი — ხურცილავა, დარჩია — ხორავა, პეტრაკი — ბოტსარი-მილადინოვიჩი.

კვირის ტურნირი, რომელიც ჩინებულად იყო ორგანიზებული, საზეიმოდ დაიხურა. მონაწილეებს გადაეცათ მრავალი ჯილდო.

*ბიძი ბამრეკელი*

# პატრიოტიზმის დეფიციტი სპორტშიცაა და ეს დამღუპველია

**„ლელოს“ სტუმარი**

**სპორტული ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერული კვლევის სფერო, თანამედროვე სპორტის პროგრესის პირმშოა. დღეს ფსიქოლოგი ისევე აუცილებელია ნებისმიერი გუნდისთვის, განსაკუთრებით სპორტის სათამაშო და ორთაბრძოლის სახეობებში, აგრეთვე ცალკეული ინდივიდისთვის, რომელიც სპორტში მაღალი შედეგებისთვის იღვწის, როგორც, ვთქვათ, ექიმი. იყო დრო, როცა ფსიქოლოგთა შესაძლებლობები ჯეროვნად ფასდებოდა, თუმცა, საქართველოს წამყვანი სპეციალისტები მაშინ, უფრო სსრ კავშირის ნაკრები გუნდებისთვის ირჯებოდნენ დღეთით, შინ კი, გარდა ეპიზოდური მიღწევებისა, განსაკუთრებული დაფასება არ ღირსებიათ. მეტიც, იშვიათად, მაგრამ მაინც, სხვებს იწვევდნენ ჩვენს სპორტსმენებთან სამუშაოდ. დღეს „ლელოს“ სტუმარია, სპორტული ფსიქოლოგიის ცნობილი სპეციალისტი, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის კათედრის გამგე, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი გივი დვალი.**



● ***ბატონო გივი, რამდენი წელიწადია, რაც სპორტულ ფსიქოლოგიას ემსახურებით?***

— 40 წელიწადზე მეტი. მუდამ მეამაყებოდა და მეამაყება, რომ მსოფლიოში ცნობილი ქართული ფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენელი ვარ და ამ დარგს, როგორც შევძელი, ათეული წლები ვემსახურე.

● ***ემსახურებით კიდეც...***

— აბა, ამას რაღა სამსახური ჰქვია. ადრე პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად, მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით მუშაობასაც ვეწეოდით და შედეგებიც თვალსაჩინო იყო. დღეს არა თუ სპორტული ფსიქოლოგიისთვის, საერთოდ, სპორტის არსებობისთვისაც კი, მინიმალური პირობები მაინც, სანატრელი გამხდარა.

● ***სათქმელი, ვიცით, ბევრი გაქვთ, განსაკუთრებით წარსულზე. ზემოთქმულში ქვეტექსტს მივიხვდით. სპორტიც უყურადღებოდაა ქვეყანაში და სპორტული მეცნიერებაც, მათ შორის, სპორტული ფსიქოლოგია. ეკონომიკური სიდუხჭირე თავისთავად, მაგრამ, ვფიქრობთ, ინერტულობის მიზეზი სხვა რამეცაა, კერძოდ ის, რომ მოდუნებულია პატრიოტული გრძნობა. არადა, არანაირი საქმე არ დაჩქარდება პატრიოტიზმის გარეშე. ეს ინერტულობა იგრძნობა ხელისუფლების მხრიდან, საზოგადოებაში და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენს სპორტსმენებშიც. თუ შეიძლება, მოდით, ამ საკითხს შევხედოთ ფსიქოლოგიის თვალთახედვით...***

— დიდი სიამოვნებით.

● ***პირველყოვლისა, მეთანხმებით თუ არა, რომ პატრიოტიზმის მაღალი გრძნობა, სპორტულ სარბიელზე წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობაა?***

— ცხადია, გეთანხმებით. აქვე გავიხსენოთ ხორვატიის მაგალითი ფეხბურთში განვლილ მსოფლიო ჩემპიონატზე. ხვდებით ალბათ, რატომ მოვიტანე ხორვატია. მათაც, ჩვენსავით, სსრ კავშირის დაშლის შემდეგ მიიღეს დამოუკიდებლობა და ჩვენსავით დიდად არ ულხინთ, მაგრამ ქვეყნის დიდი პატრიოტები არიან.

● ***ქართველებს რა მოგვდის, აკი ყველას გვეგონა, რომ ჩვენნაირი პატრიოტები დედამიწის ზურგზე არ არსებობდნენ...***

— აღმოჩნდა, რომ ეს იყო ცრუ პატრიოტიზმი. მე ზოგად შედეგზე მოგახსენებთ თორემ, ღმერთმა ნუ ქნას, თავდადებული მამულიშვილები სანატრელი გაგვიხდეს. ისინი, დღესაც არიან ქვეყანაში, ვიმეორებ, მე საერთო შთაბეჭდილებას გავუსვი ხაზი.

ახლა გადავხედოთ წარსულს. ჩვენი ისტორია ხომ დამპყრობლებთან გამუდმებული ბრძოლის ისტორიაა. საუკუნეები გვიცხოვრია უცხოტომელთა გავლენის ქვეშ. ყოველივე ამან ფსიქოლოგიური დამღა დაგვიტოვა. ავიღოთ ჩვენი ბოლო ორსაუკუნოვანი ისტორია. ამ პერიოდში განა ყველაფერი ეროვნულის დავიწყებისკენ არ იყო მიმართული? სტიმული ეძლეოდა ზნეობრივ დეგრადაციას, ეგოისტურ სულისკვეთებას, ყველაფერი კეთდებოდა ქართველ ერში არასრულფასოვნების კომპლექსის ჩასანერგად, ამ საუკუნეში კი თავს მოგვახვიეს ახალი, „საბჭოთა სამშობლო“. ამ ახალი სამშობლოს სამსახურში იდგა ქართული სპორტიც, რამაც გააუცხოვა, დააკნინა ეროვნული სულისკვეთება.

● ***იქნებ ამის ბრალიცაა, რომ ქართველი სპორტსმენები, აღარაფერს ვამბობ, საერთოდ ჩვენს ახალგაზრდობაზე, ასე მასობრივად გადაბარგდა უცხოეთში...***

— დიახ, მართლაც დამაფიქრებელია, რომ უამრავმა სპორტსმენმა მიატოვა გაჭირვებაში მყოფი სამშობლო და უცხო ქვეყანას მიაშურა, ზოგი იქ დაოჯახდა კიდეც და, რაც ყველაზე სავალალოა, ეროვნებაც შეიცვალა და იქაური მოქალაქეობაც მიიღო.

● ***ბატონო გივი, უდავოა, რომ პატრიოტიზმი ერთ-ერთი საყრდენი მოტივაციაა სპორტულ სარბიელზე წარმატებისთვის ბრძოლაში. მაგრამ იქ, უცხოეთში, სხვა მიწა-წყლის სახელით ხომ აღწევენ მაღალ შედეგებს საქართველოდან გადახვეწილი სპორტსმენები...***

— აქ უკვე ეკონომიკური ფაქტორია გადამწყვეტი. მე იმას ვამბობ, რომ პატრიოტიზმი არ შეიძლება გაიცვალოს სიმდიდრესა და ფუფუნებაზე.

● ***კარგით, ასეთი მსჯელობა შორს წაგვიყვანს, დავუბრუნდეთ მეცნიერებას. აღარც იმაზე ლაპარაკობენ ურწმუნოდ, რომ „განწყობის თეორიის“ სპორტში დანერგვამ არ აამაღლა შედეგები და წინ არ წასწია სპორტი...***

— ამ თეორიის სპორტში მეცნიერულმა გამოყენებამ, მართლაც სასწაული მოახდინა და ეს ქართული ფსიქოლოგიის სკოლის დიდი გამარჯვებაა, მით უფრო, რომ მისი შესწავლა, სწორედ ჩვენში მოხდა. პატრიოტიზმი შინაგანი, სიღრმისეული ცნობიერი განწყობაა. მას უდიდესი მასტიმულირებელი ძალა გააჩნია და ბიძგს აძლევს პიროვნული შესაძლებლობების მაქსიმალური მობილიზებით გამოვლენას, რაც, რაღა თქმა უნდა, სპორტში გადამწყვეტ როლს თამაშობს.

● ***კი, მაგრამ პატრიოტიზმი ინდივიდში თავისთავად ხომ არ აღმოცენდება. მართალია, რაღაც დოზით იგი შეიძლება ჩვენს გენეტიკაში ალბათ არის, მაგრამ შემეცნებაში, მარტივად რომ ვთქვათ, სისხლში ხომ აღზრდის პროცესით უნდა გაჯდეს. ამაზე რას იტყვით...***

— ისევ არც თუ შორეულ წარსულს დავუბრუნდეთ. ხომ გახსოვთ ჩვენში რა შეზღუდულად ისწავლებოდა საქართველოს ისტორიაც კი. ჩავატარეთ ცდები სტუდენტებში და გაირკვა, რომ ძალზე დაბალია მათი ცოდნა ჩვენი ისტორიული წარსულისადმი. ამიტომაც დომინირებს ზერელე, არაშემეცნებითი პატრიოტიზმი.

● ***საბჭოთა პატრიოტიზმის ზეობის პერიოდში ხომ აღწევდნენ არარუსი სპორტსმენები, მათ შორის ქართველებიც, მაღალ სპორტულ წარმატებებს მსოფლიოს არენაზე...***

— სწორია, მაგრამ დააკვირდით, ათი თავით მაღლა უნდა მდგარიყავი, რომ საბჭოთა ნაკრებში დაგემკვიდრებია ადგილი, ეს კი საკმარისი იყო „საბჭოთა პატრიოტიზმის“ წარმოსაჩენად.

● ***მაყურებლის პატრიოტიზმზე რას იტყვით. ფაქტი, როგორც იტყვიან, ჯიუტია. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის საფეხბურთო მატჩებს უამრავი მაყურებელი ხომ პატრიოტული სულისკვეთებით ესწრებოდა...***

— მაყურებლის პატრიოტიზმი, ეროვნული სული, გარკვეულ გავლენას ახდენდა და ახდენს შეჯიბრების სანახაობრივ მხარეზე, ხდის მას საინტერესოს და უფრო მიმზიდველს. დამოუკიდებელი საქართველოს ჩემპიონატის საფეხბურთო მატჩებზე კატასტროფულად იკლო მაყურებელმა, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად, იმანაც განაპირობა, რომ გაქრა შეჯიბრების თანმხლები ეროვნული, პატრიოტული ფაქტორი. დღეს რა მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტი ქართველისათვის თელაველები გაიმარჯვებენ თუ ხონელები? სამწუხაროდ, ქართულ სპორტში თავი იჩინა კუთხურმა გულშემატკივრობამ. რაც, ზოგჯერ მახინჯი ფორმით ვლინდება. ამგვარი ვითარება შეუწყნარებელია და არავითარი კავშირი არ აქვს ეროვნულ პატრიოტიზმთან.

● ***მიგაჩნიათ თუ არა, რომ დღევანდელ პირობებში ჩვენი სპორტსმენების და მწვრთნელების, თუნდაც სპორტის ფუნქციონერების დამოკიდებულება საქმისადმი ჭეშმარიტი პატრიოტიზმის დასტურია?***

— დიახ, ამის დაუნახაობა არ შეიძლება. გვინდა თუ არა, ეკონომიკური ფაქტორი, როგორც მასტიმულირებელი საშუალება, უნდა გამოვრიცხოთ, ისინი არც მთავრობის ჯილდოების გამო ირჯებიან. ჩვენი აზრით, დღეს ვინც სპორტში მოღვაწეობს, მოღვაწეობს მხოლოდ სამშობლოს სიყვარულით, პატრიოტული მოსაზრებით, რაც ყველა ჭეშმარიტ ქართველს უბიძგებს გაიღოს შესაძლებლობის მაქსიმუმი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

● ***მაგრამ ყველაფერს ხომ სამანი აქვს. განა შეიძლება უხელფასოდ, უსტიპენდიოდ და წარმატებისთვის საზღაურის გარეშე დიდხანს დარჩენა?***

მე ამას არ ვამბობ. მაგრამ დღევანდელ პირობებში მომავლის რწმენაც პატრიოტიზმია.

● ***ზემოთ თქვენ თქვით, რომ დომინირებს ზერელე პატრიოტიზმი, თქვენს აკადემიაში რა კეთდება სტუდენტ-სპორტსმენთა პატრიოტული სულის ასამაღლებლად?***

— იმ პროგრამით, რომელიც დღეს მოქმედებს, არა მხოლოდ ჩვენს, არამედ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებშიც, ქვეყანაში ნამდვილი პატრიოტები ვერ აღიზრდებიან. დროა გასწორდეს გაყალბებული ისტორია.





● ***კონკრეტულად თქვენს აკადემიაზე ვთქვათ, რა უნდა გაკეთდეს?***

— მისაღებ გამოცდებზე ჩვენთანაც და სხვაგანაც აუცილებლად უნდა ტარდებოდეს გამოცდა საქართველოს ისტორიაში.

● ***კიდევ ერთი დამატებითი გამოცდა?***

— არა, ჩვენთან, მაგალითად, ეს უნდა მოხდეს ბიოლოგიის ხარჯზე. მართლაც, რატომ ვთხოვთ აბიტურიენტს ადამიანის ბიოლოგიური ასპექტის ცოდნას და არ ვთხოვთ იცნობდეს ადამიანის სოციალურ ასპექტს, რაც პიროვნების აქტივობის წარმმართველია? საერთოდ, ჩვენი აკადემია რატომ უნდა იყოს ბიოლოგიზირებული, არ მესმის...

● ***თუ დაგისვამთ ეს საკითხი?***

— ადრე არა. ახლა კი, ვფიქრობთ, დროც დადგა და სიტუაციაც მომწიფდა იმისათვის, რომ ეროვნული ჭრილით აღზრდის საკითხებსაც მივუბრუნდეთ.

● ***წარმატება იყოს ჩვენი თანამდევი!***

ესაუბრა თ. თომაშვილი

## ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

# ნაგებამდე ცოტა დრო რჩებოდა...



## საქართველო — პორტუგალია 21:20

მაგრამ გადავრჩით, ერთხანს 7 ქულით დაწინაურებულ მასპინძლებს ინიციატივა თანდათან შემოადნათ და საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე ჩვენები სასწაულად გადაურჩნენ უარეს შედეგს. ისე, აშკარად გამოკვეთილი უპირატესობა მეტოქეებს ამ მატჩში არ ჰქონიათ, თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ, მერე ხარისხით და შესაბამისად შედეგით მატჩი გათანაბრდა. მეორე ტაიმის დასაწყისში საქართველოს ნაკრებმა ყველაფერი იღონა, რომ გარდატეხა შეეტანა თამაშში და თავის სურვილზე წარემართა იგი (პირველი ნახევარი ჩვენებმა მოიგეს 10:8). ფაქტობრივად, მეორე ტაიმის დასაწყისი პირველი ნახევრის ბოლო წუთების შემართების გაგრძელებას დაემსგავსა, რაც სამი გოლის უპირატესობით აღინიშნა. მერე ეს სხვაობა კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახდა, მაგრამ, თურმე, გამარჯვება არ ეწერა. ფინიშის სწორზე სტუმრები ერთობ გახელდნენ, თანაც, გარკვეულ პერიოდში რიცხობრივი უპირატესობაც ჰქონდათ და ზედიზედ რამდენჯერმე აიღეს ჩვენების კარი. ასე მომწიფდა კრიტიკული სიტუაცია და არავინ იცოდა ყველაფერი ეს რით დამთავრდებოდა, ჩვენს კარის დარაჯს რომ არ ეყოჩაღა და მეტოქესაც რამდენიმე ლაფსუსი არ დაეშვა. მოკლედ, გავიმარჯვეთ 21:20. პირველი მატჩი 12 მაისს პორტუგალიაში წავაგეთ 14:17.

საუკეთესო მოთამაშის პრიზი, რომელიც სპორტის სასახლის დირექციამ დააწესა მატჩის შემდეგ მართლაც ღირსეულს — როლანდ ერაძეს გადაეცა. ***მეტოქეთა შემადგენლობა. საქართველო:*** ბუთიკაშვილი, ერაძე, ქობულაშვილი, ყიფიანი, კეკელიძე, მეიფარიანი, დათუკაშვილი, კალანდაძე, გელაშვილი, ბოყჩაძე, ორჯონიკიძე, თურქია. ***პორტუგალია:*** მორიედო, გალიამბასი, რესენდი, კრუზი, მატოსი, კაელნო, პრეზესი, მორგადო, პანდორინი, ბოლიონსკი, ალმეიდა, ჩიკოლაევი. ***მსაჯები:*** ნეჩაი, ასკეროვი (აზერბაიჯანი).

# სასწაული: მონაწილეთა რეკორდსაც ველირსეთ

*(პირველი გვერდიდან)*

ბრება „კოკა-კოლამ“ გაალამაზა — პრიზებიც დააწესა და არც ერთი მონაწილე არ დაუტოვებია უსაჩუქროდ.

აგვისტოს პირველ დეკადაში კატოვიცეში (პოლონეთი) კადეტთა (1982-83 წ.) მსოფლიოს პირველობა ჩატარდება (ევროპის პირველობა არ იმართება ამ ასაკში). ამდენად უძლიერესთა შესარჩევად ეს შეჯიბრება ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. ახლა მთავარია, სახსრები გამოინახოს და კატოვიცეში გამგზავრება რეალობად იქცეს.

**კვარცხლბეკი:** ***42 კგ:*** 1. რამაზ გაგნიძე (ქუთ), 2. გოჩა ახალაძე (ორს, ხონი), 3. გიორგი ბალიაშვილი (გორი); ***46 კგ:*** 1. ამირან ელბაქიძე, 2. ცოტნე ბარამიძე (ორივე – გორი), 3. მერაბ მერაბიშვილი (რუსთ.); ***50 კგ:*** 1. თემურ ქასოშვილი (რუსთ.), 2. მალხაზ მუზიაშვილი (გორი), 3. მალხაზ ქურდიანი (ორს); ***54 კგ:*** 1. კარლო ქუცნიაშვილი (მცხეთა), 2. გია გაბრიელაშვილი (თბ), 3. გიორგი ქონიაშვილი (ორს); ***58 კგ:*** 1. გიორგი ასანიშვილი (რუსთ), 2. მანუჩარ მეშველიანი (ქუთ), 3. შალვა მუზიაშვილი (გორი); ***63 კგ:*** 1. ნიკოლოზ ლობჟანიძე (ონი), 2. დავით ოქროპირიძე (გორი), 3. გიორგი ქეთიშვილი (თბ); ***69 კგ:*** 1. მ. ჩიქოვანი (ორს), 2. ლევან ხარებავა (აფხ), 3. დავით ახალმოსულიშვილი (ორს, ყვარელი), ***76 კგ:*** 1. შოთა ბოლოლაშვილი (თბ.), 2. გოჩა ხანდურიშვილი (ორს. ყვარელი), 3. თედორე მინდიაშვილი (რუსთ); ***85 კგ:*** 1. მიხეილ ბაგაური, 2. ზვიად სისაური, 3. კობა ბზიკაძე (სამივე – თბილისი); ***100 კგ:*** 1. გიორგი შერმაზანაშვილი (ორს), 2. ლაშა კაპანაძე (ქუთ), 3. ლევან ვაჭარაძე (თბ). ***გუნდური. ქალაქებს შორის:*** 1. თბილისი, 2. გორი, 3. ქუთაისი; სპორტსაზოგადოებებს და სპორტკლუბებს შორის: 1. „მართვე“, 2. „შევარდენი“, 3. „ლოკომოტივი“.

*ბიძი ბამრეკელი*

# კალათბურთი — შინ და გარეთ...





**ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი**

**34-ე ტური:** სდასუ — შევარდენი 93:67, ვითა — სსუ 103:81, თსუ — ასკ 92:72, დინამო — მაკაბი 76:69, აზოტი — სტუ 88:81.

**35-ე ტური:** მაკაბი — სსუ 78:76, სდასუ — —ასკ 93:78, სტუ — შევარდენი 96:81, ვითა — თსუ 92:86, აზოტი — დინამო 81:74.

**ნბა. გრძელდება ფლეი-ოფის მატჩები:** ჰიუსტონი — ლეიკერსი 102:88 (1-2); მინესოტა — სან-ანტონიო 71:85 (1-2), მილუოკი — ინდიანა 91:90 (0-3), ფილადელფია — ორლანდო 97:85 (2-1).

## თასების თასის ფინალის წინ
# ბირმინგემში, 19 მაისს „ლაციო" — „მალიორკა"

გულშემატკივრები ცოტა სხვანაირ ფინალურ წყვილს ელოდნენ. თითქმის გარანტირებულად მიაჩნდათ „ლაციოსა" და „ჩელსის" შეხვედრა. სინამდვილეში კი...

პირველივე მატჩმა „ჩელსისა" და „მალიორკას" შორის საკმაოდ მოულოდნელი შედეგი მოიტანა (1-1).


გუსტავო სივიერო

სპეციალისტები აღნიშნავდნენ, რომ „ჩელსის" უფრო მაღალი კლასი ჰქონდა, გაცილებით უფრო მეტი გამოცდილება, მატჩში თავიდან ბოლომდე ფლობდა ინიციატივას. საინტერესოა, რომ ამ შეხვედრაში თვით მოთამაშე მენეჯერი ვიალიც მონაწილეობდა, რომელმაც თავდასხმის დუეტი შეადგინა თავის თანამემამულე ძოლასთან ერთად. „ინგლისელებმა" (ბრჭყალები იმას ნიშნავს, რომ „ჩელსიში" თითქმის არ არიან ინგლისელები) ქულა მაშინ იხსნეს, როცა მეორე ტაიმიდან თამაშში ჩაერთო ტორე-ანდრე ფლო. სწორედ მან გაიტანა საპასუხო გოლი. ნორვეგიელმა საინტერესო განცხადებაც გააკეთა: „რა თქმა უნდა, ჩვენ ესპანეთში გაგვიჭირდება. იძულებული ვიქნებით მხოლოდ შეტევაზე ავიღოთ აქცენტი, გავხსნათ თამაში. „მალიორკაც" საკუთარი მაყურებლის წინაშე პასიური ვერ იქნება".

მეორე მატჩი „მალიორკამ" მართლაც მოიგო ბიაჯინის ერთადერთი გოლის წყალობით.

რა შეიძლება ითქვას ფინალში ესპანელების კლუბის (მწვრთნელი ჰექტორ კუპერი) საორიენტაციო შემადგენლობის შესახებ. თუ თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალის მონაწილეებს გავითვალისწინებთ. იგი დაახლოებით ასეთია: როა, სილვერო (კარერესი), მ. სოლერი, ოლაისოლა, მარსელინიო, ლორენი, ი. სტანკოვიჩი, ენგონგა, დანი, პაუნოვიჩი, ბიაჯინი.

ამ შემადგენლობიდან აღნიშნავენ მეტად საიმედოდ მოთამაშე არგენტინელ მეკარე როას, რომელსაც შეუძლია დაცვითი ხაზის განმტკიცება და ორგანიზება. თუმცა, როგორც ესპანეთის ჩემპიონატის მეორე წრის მატჩებმა გვიჩვენა, გუნდს ძალიან კარგად შეუძლია თამაში თავდასხმაშიც. აქ თავი უნდა გამოიჩინოს დანიმ, იგივე იოვან სტანკოვიჩმა, ველკო პიუნოვიჩმა და არგენტინელმა ლეო ბიაჯინიმ, რომელიც ბრწყინვალედ ატარებს ამ სეზონს.

ახლა, „მალიორკა" ჩემპიონთა ლიგაში ადგილის მოპოვების კარგ შესაძლებლობებს ინარჩუნებს. ერთი სიტყვით, ეს კლუბი, რომელიც ესპანეთის ჩემპიონატში ბალეარის კუნძულებს წარმოადგენს, მეტად ძლიერია...


ალმეიდა

...მაგრამ ფინალში ფავორიტად მაინც რომის „ლაციო" ითვლება, რომელიც ახლა ზოგ სპეციალისტს ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიაჩნია. მართალია, ერთი თვის წინ იტალიურმა კლუბმა სერიოზული კრიზისი გადაიტანა. სწორედ მაშინ იყო, რომ „ლაციომ" დაკარგა იტალიის ჩემპიონატში მოპოვებული დიდი უპირატესობა, დიდი ვერაფერი დაამტკიცა მოსკოვის „ლოკომოტივთან" (1-1, 0-0), ფინალში მეტოქის მინდორზე გატანილი გოლით გავიდა. ახლა, როგორც ითვლება, „ლაციომ" ეს კრიზისი მნიშვნელოვანწილად დაძლია.

როგორც გულშემატკივრებისათვის კარგად არის ცნობილი, „ლაციოს" შემადგენლობა მეტად ძლიერია. ეს უკლებლივ ყველა ხაზს ეხება. საქმე იქამდე მივიდა, რომ საერთაშორისო კლასის მთელი რიგი ცნობილი მოთამაშეები სასტარტო შემადგენლობაში ვერ ხვდებიან. მეტად საიმედოდ თამაშობს მეკარე მარკეჯანი. დაცვის სული და გულია კაპიტანი ნესტა, რაც შეეხება მიხაილოვიჩს, მისმა საჯარიმო დარტყმებმა ლამის პენალტის ფასი მიიღოს. ახლა ნახევარმცველები ნედვედი, ფერნანდო კოუტუ, ლომბარდო, დე ლა პენია, შესანიშნავი თავდამსხმელები ვიერი, რომელიც ტრავმის გამო ბრძოლაში მხოლოდ მეორე წრიდან ჩაერთო, ჩილელი სალასი, მართალია, გადაღლილია, ვირტუოზული ტექნიკის მქონე და ამავე დროს ბრწყინვალე ტაქტიკოსი, ვეტერანი მანჩინი.

მიმომხილველები ფინალში უპირატესობას „ლაციოს" კი ანიჭებენ, თუმცა, ვინ იცის... ერთი რამ ცხადია: ამ წყვილის შეჯახება მეტად საინტერესო უნდა გამოდგეს. მწვრთნელები ერიქსონი და კუპერი, როგორც წესი და რიგია, ოპტიმისტურ განცხადებებს აკეთებენ. ისე, რომ, ვნახოთ...

სერჯიო კონსეისაო


## რა მოუხერხონ ამდენ მსურველს?

როგორც ცნობილია, 26 მაისის მატჩი, ევროპის ჩემპიონთა ლიგის ფინალი ბარსელონას „ნოუ კამპზე" უნდა ჩატარდეს. ამ სტადიონზე 98 ათასი მაყურებელი ეტევა, მაგრამ ორგანიზატორების წინაშე რთული პრობლემები წარმოიშვა — შეხვედრაზე დასწრების მსურველი გაცილებით უფრო მეტია. ამიტომ გადაწყდა ადგილობრივ გულშემატკივრებს მხოლოდ 20 ათასი ადგილი დაუთმონ, ამასთან, ორი ათასი — სტადიონის აბონემენტების მფლობელებს. დანარჩენი მიუნხენის „ბაიერნისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" გულშემატკივრებს გადაეცემათ.

აქ არის კიდევ ერთი პრობლემა: ბარსელონაში ჩავა „მანჩესტერ იუნაიტედის" დაახლოებით 20 ათასი უბილეთო გულშემატკივარი, რომელიც სტადიონზე შეღწევას შეეცდება. რა გააჩერებს მათ?

## ინგლისი – 25 გამარჯვება, იტალია – 25 გამარჯვება

აქამდე ევროპული თასების გათამაშებაში ყველაზე მეტი წარმატება ინგლისურ კლუბებს ჰქონდათ მოპოვებული. მათ ასეთ ასპარეზობებში 25-ჯერ გაიმარჯვეს. მარსელის „ოლიმპიკის" დამარცხების შემდეგ „პარმამ" იტალიას ასევე 25-ე ტროფეი მოუტანა. მესამე ადგილზეა ესპანეთი — 25 ტრიუმფი.

ახლა სამივე ამ ქვეყანას აქვს თავისი მიღწევების გაუმჯობესების საშუალება. „მანჩესტერ იუნაიტედს" მოელის გადამწყვეტი მატჩი ჩემპიონთა თასზე, „ლაციოსა" და „მალიორკას" — თასების მფლობელთა თასზე.

## 19 მაისს: რუსეთი – ბელორუსია

მიუხედავად იმ მძიმე მდგომარეობისა, რომელშიც რუსეთის ნაკრები აღმოჩნდა ევროპის პირველობის შესარჩევ ჯგუფში, მთავარი მწვრთნელი ოლეგ რომანცევი გუნდის მდგომარეობას მაინც უიმედოდ არა თვლის.

19 მაისს ტულაში გაიმართება ამხანაგური მატჩი ბელორუსიის ნაკრებთან. ეს თამაში გახლავთ გენერალური რეპეტიცია 5 ივნისს პარიზში საფრანგეთის ნაკრებთან შეხვედრის წინ. აი, ამ ორთაბრძოლის შემდეგ კი ნათელი უნდა გახდეს, რჩება კი რუსეთის გუნდს ევროპის პირველობის საგზურისთვის ბრძოლის გაგრძელების რაიმე შესაძლებლობა, თუ დროა „დაიხუროს ქუდი" და უკვე მსოფლიოს მორიგი პირველობისათვის მოემზადოს.

## გასამრჯელო რუს ფეხბურთელებს

მოსკოვის სასტუმრო „როსიაში" გაიმართა ნაკრების უფროს მწვრთნელ მიხაილ გერშკოვიჩის პრეს-კონფერენცია, კითხვები ფინანსურ მხარესაც შეეხო.

როგორც გერშკოვიჩმა განმარტა, ნაკრების მოთამაშეებთან იდება არა ცალკეული, არამედ საერთო კონტრაქტი, რომელსაც ხელს აწერს მთავარი მწვრთნელი ოლეგ რომანცევი. თუკი მატჩი წარმატებით მთავრდება, მაშინ მოთამაშეებს სამგვარი პრემია ენიჭებათ იმ წვლილთან დაკავშირებით, რომელიც მათ გამარჯვების მოპოვებაში მიუძღვით. არის პრემიის სამი კატეგორია: 100-პროცენტიანი, 70-პროცენტიანი და 50-პროცენტიანი. მაქსიმალური თანხა გამარჯვებისათვის 5 ათას დოლარს შეადგენს. ადრე ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომლებიც იღებდნენ პრემიებს. ახლა ეს უკვე აღარ მოხდება.

## „როტორში" მწვრთნელი იცვლება

როგორც „როტორის" (ვოლგოგრადი) მესვეურებს მიაჩნიათ, მათმა გუნდმა ვიქტორ პროკოპენკოს ხელმძღვანელობით ბევრს ვერაფერს მიაღწია. გუნდი იყო ჩემპიონის წოდების პრეტენდენტი, მაგრამ მარცხი იწვნია, იყო რუსეთის თასის ფინალისტი, აქაც ხელი მოეცარა. ამიტომ, კლუბის მესვეურები ფიქრობენ, რომ მწვრთნელი უნდა შეიცვალოს. ახლა ვოლგოგრადში ჩავიდა დონეცკის „შახტიორის" ყოფილი მწვრთნელი ვალერი იარემჩენკო, რომელიც, ეტყობა, შეცვლის კიდეც პროკოპენკოს.

## „ფეხბურთის ადამიანები"

სპორტულმა ჟურნალისტმა პაველ ვასილიევმა დაწერა წიგნი „ფეხბურთის ადამიანები". აქ ლაპარაკია მიხაილ იაკუშინზე, გრიგორი ფედოტოვზე, ლევ იაშინზე, ნიკოლაი ტოლსტიხსა, ვიაჩესლავ კოლოსკოვსა, ოლეგ დოლმატოვსა, ვალენტინ ივანოვსა და ფეხბურთის სამყაროს სხვა წარმომადგენლებზე.

ვასილიევის წიგნის გმირებს კარგად იცნობენ ქართველ გულშემატკივართა სხვადასხვა თაობებიც. მწერალი ლაპარაკობს იმ განსაკუთრებულ საფეხბურთო სამყაროზე, რომელიც ტრიბუნებიდან თუ ტელევიზორში არც ისე კარგად ჩანს.

## რომ გაყინულიყო?

მარსელის „ოლიმპიკის" დამარცხების შემდეგ აღტაცებაში მოსულმა „პარმას" ფეხბურთელებმა თავიანთი კლუბის პრეზიდენტ სტეფანო ტანცის ცუდი საქმე დამართეს. ისინი არ ითვალისწინებდნენ, რომ მოსკოვში ძალიან ციოდა, ტანცის გაუთავებლად asხამდნენ ღვინოს, ლუდს, წყალს, შამპანურს, ხომ შეიძლებოდა ფილტვების ანთება დამართვოდა.



ამასთან დაკავშირებით „გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტი ხუმრობს: „რძე მაინც დაესხათ (პატარა ქალაქი პარმა სწორედ რძის წარმოებითაა განთქმული), რაღა ეს საფირმო სასმელი დაავიწყდათ!"

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები
# „მალესანი დიდი მწვრთნელი გახდება"

ეს სიტყვები იტალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს, პროფესორ დინო ძოფს ეკუთვნის.

— ალბერტო მალესანი დიდი მწვრთნელი უნდა გახდეს. ეს დავასკვენი იმიტომ, რომ მან აწყობილი ანსამბლი შექმნა. გუნდს ჰყავს ვარსკვლავები, რომელთაც ნებისმიერი მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლიათ. და მაინც მთავარია არა კიეზას, კრესპოს ან ვერონის ოსტატობით აღტაცება, არამედ იმ გასაოცრად სინქრონული მოქმედების აღნიშვნა, რომელსაც ამ ვარსკვლავებისა და მათი პარტნიორებისაგან მწვრთნელმა მალესანიმ მიაღწია. იმ სტილს, რომლის მიმდევარიც მალესანი გახლავთ, „საფეხბურთო სოციალიზმს" ვეძახი. მისმა პირველმა (ახლანდელმა) სეზონმა „პარმაში" ჩემი მოღვაწეობის პირველი წელი მომაგონა „იუვენტუსში". 1990 წელს „ბებერმა ქალბატონმა" უეფას თასიც მოიპოვა და იტალიის თასიც. მართალია, „სკუდეტოს" ვერ დავეუფლეთ. მართალია, ახლა მალესანი ამას შეეცდება. დარწმუნებული ვარ, ასეთი ნათელი გონების კაცი ყველაფერს მიაღწევს. ტაქტიკური თვალსაზრისით „პარმას" თამაშის განსხვავებას მარსელის „ოლიმპიკისაგან" მხოლოდ ფეხბურთში გაუთვითცნობიერებელი კაცი თუ ვერ შეამჩნევდა. ფრანგული არეულდარეულობის ფონზე „პარმას" სათამაშო იდეები ნათლად იყო გამოხატული: თითოეულმა მოთამაშემ ყოველ მომენტში მშვენივრად იცოდა, სად უნდა დაეკავებინა ადგილი მინდორზე, ვის მოაწოდოს ბურთი და ასე შემდეგ.

## კრესპოს 29 გოლი

თავისი შედეგიანობით განთქმულმა არგენტინელმა ერნან კრესპომ („პარმა") ამასწინანდელ მატჩში მარსელის „ოლიმპიკთან" სეზონში 29-ე გოლი გაიტანა!

იგი ყველა ფრონტზე წარმატებას აღწევს: 16 გოლი გაიტანა იტალიის პირველობაზე, 7 — იტალიის თასზე (ამ შეჯიბრების უპირველესი სნაიპერი გახდა), 6 — უეფას თასზე. „პარმაში" კრესპოს საუკეთესო პარტნიორი ენრიკო კიეზა მასზე ნაკლებად შედეგიანია, მაგრამ სწორედ უეფას თასზე მეტი გოლი გაიტანა — 8. ამით კიეზამ ამ ტურნირის საუკეთესო სნაიპერებს შორის პირველი-მეორე ადგილები გაინაწილა „რეალ-სოსიედადის" (სან-სებასტიანი) იუგოსლაველ თავდამსხმელ დარკო კოვაჩევიჩთან.

## „თეთრი დოქტორი" წარმატებით მუშაობს

ფილიპ ტრუსიე დიდხანს მუშაობდა აფრიკის ქვეყნების ნაკრებების მწვრთნელად, სადაც მას „თეთრ დოქტორს" უწოდებდნენ. შარშან ბურკინა ფასოს ნაკრები, რომელსაც მანამდე რაიმე წარმატება არა ჰქონია, აფრიკის თასის ნახევარფინალში გაიყვანა.

ახლა ტრუსიე იაპონიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელია და შეთავსებით ქვეყნის ახალგაზრდულ გუნდსაც ხელმძღვანელობს. სწორედ ეს ახალგაზრდული ნაკრები იყო, რომელიც ამასწინანდელ მსოფლიო პირველობაზე ფინალამდე მივიდა და ჩინებული თამაშიც აჩვენა. „ვამაყობ ამ ახალგაზრდა ფეხბურთელებით" – განაცხადა ფილიპ ტრუსიემ.

# ქუთაისის ფეხბურთი 90 წლისაა

*(პირველი გვერდიდან)*

რები, მაგრამ 14 ოქტომბერს ქუთაისის დინამოელებმა რევანში აიღეს და ანგარიშით 3-2 მოუგეს ძლიერ მეტოქეს. 8 ნოემბერს მათ 3-1 დაამარცხეს ქ. ივანოვო-ვოზნესენსკის ძლიერი გუნდი, ხოლო 12 ნოემბერს დაძაბულ ბრძოლაში 3-2 სძლიეს ქ. ვორონეჟის ფეხბურთელებს.

1932 წლის საფეხბურთო სეზონის დასასრულს ქუთაისს სტუმრად ეწვია ქ. მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდი „პრომკოპერაცია“, რომლის ბაზაზე 1935 წელს შეიქმნა შემდგომში საქვეყნოდ ცნობილი საფეხბურთო კოლექტივი „სპარტაკის“ სახელწოდებით. მაყურებლებმა მოედანზე იხილეს ცნობილი ფეხბურთელების ძმები სტაროსტინების, სოკოლოვის და სხვათა ვირტუოზული თამაში. სტუმართა კომბინაციურ და მაღალტექნიკურ



*1925 წ. ქუთაისის „ლოკომოტივი“ (დგანან, მარცხნიდან): ალექსანდრე ლომთაძე (გუნდის ხელმძღვანელი), შაშურა კახაია, შალვა დარჩია, კუკური სახელაშვილი, კოტე საჩკოვი, შალვა კუპრაშვილი; სხედან – მატკბილაძე, ვალია მიხაილოვი, მარგველაშვილი, კარლო ფაჩულია, ლევან ფხაკაძე, კიკნაძე.*

თამაშს მასპინძლებმა დიდი მონდომება და კოლექტიურობა დაუპირისპირეს. მათ სძლიეს მრისხანე მეტოქეს ანგარიშით 3-1.

ქუთაისელი ფეხბურთელები ამხანაგურ შეხვედრებსაც ატარებდენ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში, სადაც ხანდახან ადგილი ჰქონდა კურიოზულ შემთხვევებსაც. „დინამოს“ ყოფილმა გუნდისთავმა ვ. მიხაილოვმა გვიამბო: „ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად მიგვიწვიეს სამტრედიელმა ფეხბურთელებმა. არსებული წესის თანახმად სტუმრებისათვის სადილი მასპინძლებს უნდა გაემართათ და აი სამტრედიელებმა მიგვიპატიჟეს სუფრაზე, მოგვართვეს ქერჩის ტარანი განთქმული სამტრედიული ტყემლით და ღომით. ბიჭებმა კარგად ვისადილეთ. ორი საათის შემდეგ მოედანზე გავედით სათამაშოდ. აგვისტოს მცხუნვარე მზე იდგა. ფეხბურთელებს წყურვილი გვახრჩობდა. დაიწყო მატჩი და მთელი თამაშის მანძილზე მორიგეობით ორისამი კაცი მუდამ მოედნის გარეთ გარბოდა წყურვილის მოსაკლავად და ასე გაგრძელდა მთელი თამაშის მანძილზე. სამტრედიელების სიცილზე მივხვდით მათ ეშმაკობას, მაგრამ რაღას ვიზამდით, „გულმოსულებმა“ მატჩი მთელი ენერგიით ჩავატარეთ. მართლაც, გავიმარჯვეთ ანგარიშით 1-0, თუმცა მატჩის შედეგი უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, რომ სრული შემადგენლობით გვეთამაშა“.

1936 წელს ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოხდა. 26 მარტს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკავშირო პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება ჩატარებულიყო საბჭოთა კავშირის პირველობა საკლუბო გუნდებს შორის. ანალოგიური ცვლილებები მოხდა რესპუბლიკის საფეხბურთო ცხოვრებაში. 1936 წლამდე საქართველოს ჩემპიონატების ჩატარებას არ ჰქონდა ორგანიზებული და მასობრივი ხასიათი. რესპუბლიკის პირველობები ტარდებოდა მხოლოდ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის და გორის გუნდების მონაწილეობით.

1936 წელს ქუთაისში ჩამოყალიბდა ფეხბურთელთა ახალი გუნდი „ბუვერესტნიკის“ სახელწოდებით, გაზეთი „საქართველოს ფიზკულტურელი“ წერდა: „ქუთაისში ჩამოყალიბდა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკი“, რომელიც ამოცანად ისახავს ფიზკულტურული მუშაობის გაშლას დახლის მუშაკებს შორის“. იმავე წელს ქუთაისის სტამბის ბაზაზე კიდევ ერთი საფეხბურთო კოლექტივი ჩამოყალიბდა „პრავდის“ სახელწოდებით.

1939 წელს ჩატარებულ რესპუბლიკურ ჩემპიონატზე ქუთაისის დინამოელებმა 18 შესაძლებლიდან 15 ქულა დააგროვეს და მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს.

საყურადღებოა, რომ იმ პერიოდში ქუთაისის დინამოდან თბილისის დინამოში მიიწვიეს ცნობილი ფეხბურთელები მ. ჭელიძე, მ. ბერძენიშვილი, უ. სალდაძე, ნ. ხერხაძე, ხოლო ცოტა უფრო გვიან შ. ვაჩაძე, მ. გერაძე და ი. სარჯველაძე, იმ პერიოდში ქუთაისში ჩამოიყვანეს ფეხბურთის კარგი სპეციალისტი გ. იასტრებოვი, რომელიც ომში წასვლამდე ედგა სათავეში ქუთაისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდს. 1940 წლის საფეხბურთო სეზონი ქუთაისში 10 აპრილს გაიხსნა. ამ დღეს საქალაქთაშორისო მატჩში ქუთაისელები მასპინძლობდნენ საბჭოთა კავშირის თასის პირველ მფლობელს მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა გუნდს.

შეხვედრა ორმხრივი იერიშებით დაიწყო. ანგარიში მოსკოველებმა გახსნეს, ეს გოლი მეორე ტაიმის მე-20 წუთზე მ. გერაძემ გაქვითა. შეხვედრის დასასრულს მასპინძლებმა ორი ტაქტიკური შეცდომა დაუშვეს, რაც კარგად გამოიყენეს მოსკოველებმა, მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 3-1.

რაც შეეხება რესპუბლიკის 1940 წლის საფეხბურთო ჩემპიონატს, ქუთაისის დინამოელებმა კვლავ მესამე ადგილი დაიკავეს. ბათუმის „დინამოსა“ და თბილისის არმიელთა კოლექტივების შემდეგ.

ომმა დროებით შეწყვიტა ჩვენი ქალაქის სპორტული მაჯისცემა. ქართველმა სპორტსმენებმა სპორტული ფორმა სამხედრო ფარაჯებზე გაცვალეს. მათ შორის იყვნენ ქუთაისელი ფეხბურთელებიც. ფრონტზე წავიდნენ: კ. ლორთქიფანიძე, კ. ფაჩულია, გ. შავგულიძე, მ. იასტრებოვი, ა. ცირეკიძე, კ. გიგინეიშვილი, ა. მარუაშვილი, გ. ბზიკაძე, დ. გიგიაძე, ბ. ჩირაძე, ე. ნიჟარაძე, ა. ჭანტურია, ა. სოფრომაძე, პ. ხანთაძე, მ. და ა. გიგაურები, კ. ფედოროვი, ა. მეფარიშვილი, გ. ფურცხვანიძე. დ. ეფრემიძე, ნ. ლორთქიფანიძე, მ. ნაჭყეპია, კ. ხურციძე, ვ. ხაზარაძე, ი. გაბუნია და სხვები.

1946 წელს რესპუბლიკურ ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზეს ქუთაისის დინამოელებმა, მათ არც ერთი მატჩი არ წაუგიათ და ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონის საპატიო წოდება. ამ გამარჯვების შემოქმედნი იყვნენ კ. ეფრემიძე, ე. ნიჟარაძე, გ. ფხაკაძე, კ. ვაშაკიძე, ვ. ივანოვი, ზ. მარგველაშვილი, ტ. გერაძე, ს. ერქომაიშვილი, მ. გერაძე, ს. სულავა, ს. ნინუა, ნ. ხერხაძე, მ. მოწერელია, შ. ვაჩაძე, გ. ჯავახაძე, გ. კოვზიანიძე.

გუნდს წვრთნიდა ს. ერქომაიშვილი, იმავე წელს ქუთაისის დინამოელებმა კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმეს. გუნდმა მოიპოვა სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის თასი. 1948 წელს ქუთაისის დინამოელებმა წარმატებით „იასპარეზეს“ „დინამოს“ საკავშირო პირველობაზე. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „კომუნისტი“ წერდა: „ქუთაისის ფეხბურთს მდიდარი ტრადიციები გააჩნია. ქუთაისის „დინამო“ 1944-1946-1947 წლებში ზედიზედ ფლობდა კონსტიტუციის სახელობის თასს და რესპუბლიკურ გათამაშებაში მუდამ საპრიზო ადგილზეა. ამას წინაც „დინამოს“ 25 წლისთავისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში ქუთაისელმა ფეხბურთელებმა საუცხოო შედეგს მიაღწიეს სამხრეთ ზონაში, სადაც ამიერკავკასიის გუნდებს გარდა მონაწილეობდნენ დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა და სტავროპოლის მხარე.

დინამოელებმა ამ ზონაში დაამარცხეს სოხუმის, ბაქოს, ლენინაკანის, მახაჩყალის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდები. ახლა ქუთაისელები ემზადებიან მოსკოვში გასამგზავრებლად, სადაც სექტემბრის შუა რიცხვებში შეხვდებიან სხვა ზონაში გამარჯვებულ გუნდებს“ (გაზეთი „კომუნისტი“, 1948 წ. 28 აგვისტო)

**საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში (II წრე)**

**პირველი ჯგუფი XXVIII ტური**

## მერანი-91 (თბილისი) — ტორპედო (ქუთაისი) 2–1

***მერანი-91:*** ლომაია, ცქიფურიშვილი, ე. ალადაშვილი, ხარებავა, გელა ქორიძე, ჰინჭარაული, ბაჯელაძე (ჯიშკარიანი, 60), ზ. ამბიძე, (კარიაული, 83), ჩუხუა, დავითაშვილი (დევიძე, 54).
***ტორპედო:*** ჭანტურია, ახვლედიანი (მაზანაშვილი, 46), იონანიძე (მეტერეველი, 53), ხვადაგიანი, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, კვეტენაძე. თურმანიძე, დ. ჯანაშია, ჩხეტიანი, ვაჩიბერიძე (იმედაძე, 46).
***გოლები:*** ამბიძე (20,76), მაზანაშვილი (66).
***გააფრთხილეს:*** ჰინჭარაული, თურმანიძე, ჩუხუა, მაზანაშვილი.
***მსაჯი:*** თამაზ ლაცაბიძე (სურამი).

რიონისპირელები ეროვნული ჩემპიონატის წინა ორ გათამაშებაშიც დამარცხდნენ „სინათლეზე“ – მერვეში 1-4-ზე, ხოლო მეცხრეში 0-1-ზე. მეათეში ტორპედოელებს საგრძნობლად უკეთესი გუნდი კი ჰყავთ, მაგრამ „მერანთან“ სტუმრად მაინც წაიბორძიკეს, არადა წარმატების შემთხვევაში მეორე ადგილს ინაღდებდნენ. და ავტომატურად უეფას თასზე ასპარეზობის საგზურსაც.

მერანელები, გამარჯვების გარდა, ქებას კიდევ იმით იმსახურებენ, რომ მათთვის უმოტივაციო მატჩში მთელი სული და გული ჩადეს, სპორტულ პრინციპს არ უღალატეს. ბახვა ამბიძემ, თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ითამაშა. მისი პირველი გოლი, ჭანტურიას კარის ცხრიანში, რომელიც მან 22-24 მეტრიდან გაიტანა საჯარიმო დარტყმით ერთ რამედ ღირდა. მეორე ბურთიც ლამაზად, შურდულივით შეარჭო ბადეში ასე 14-15 მეტრიდან, როცა მერანელებმა მარცხენა ფლანგიდან საჯარიმო ჩაჰკიდეს ტორპედოელთა კარის გასწვრივ.

... ანგარიშის გათანაბრების შემდეგ სტუმრები თითქოსდა დაოკდნენ, მასპინძლებმაც რამდენიმე წუთიან შტურმს თავი დაალწიეს და თამაშიც გაათანაბრეს. საბოლოო ჯამში „მერანს“ უფრო მეტი სიქორფე აღმოაჩნდა, ერთ მუშტად შეკრულ ტრანსპორტელთა გუნდი ქუთათურთათვის ერთობ კერკეტი კაკალი აღმოჩნდა და „ტორპედოს“ გავერცხლებაც ალბათ დროებით შეჩერდა.

დათო თავართქილაძე

## ტექნიკური შედეგები

**დინამო (თბილისი) – გურია (ლანჩხუთი) 1-1**
***დინამო:*** გვარამაძე. ხიზანიშვილი, დიდავა, აშვეთია, მაჭავარიანი, ა. სახვაძე, კიკნაძე, გუჩუა (ჩომახიძე, 60), ალექსიძე, გოგიჩაიშვილი, ჯინჭარაძე (ქებაძე, 53).
***გურია:*** ნიკურაძე, თ. ჩხაიძე, ზ. კვეკვესკირი (ჭიაბრიშვილი, 46), შ. მახარაძე, სვანიძე, გულორდავა, ბოლქვაძე (ძოძუაშვილი, 58), შაშიაშვილი, დ. მახარაძე, ლ. ჩხაიძე, ენუქიძე.
***გოლები:*** ჰინჭარაძე (31), აშვეთია (34, 55, 80), კიკნაძე (44), ალექსიძე (50), დ. მახარაძე (52), ჩომახიძე !85).
***მსაჯი:*** კ. მესხი (ზუგდიდი).

**არსენალი (თბილისი) – ოდიში (ზუგდიდი) 3-0**
***არსენალი:*** ჩლაიძე, ცოტაძე (ყუფარაძე, 54), ჩიქოვანი, გველესიანი, ყოლბაია, მ. მაისურაძე, ზირაქიშვილი (სულაძე, 81), აბაზაძე, ამირიძე (ხოსროშვილი, 76), კაკაშვილი, ტარიელაშვილი.
***ოდიში:*** გოგია, კაკულია, შონია, აკობია, შედანია, შელია, იოსავა, კუტალია, მარკოზია, გოგოხია, გვიჩია.
***გოლები:*** ტარიელაშვილი (24, 34, 80).
***გააფრთხილეს:*** ყოლბაია
***მსაჯი:*** ს. კახიანი (თბილისი).

**კოლხეთი-1913 (ფოთი) – დინამო (ბათუმი) 1-0**
***კოლხეთი-1913:*** მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, შალამბერიძე, ანჯაფარიძე, გ. გიორგაძე, (ამაშუკელი, 63), ტრაპაიძე (ღაღანიძე, 86), კ. კალანდაძე, ე. გვასალია (შავგულიძე, 64), ბულუხია, მ. ქობულაძე.
***დინამო:*** ტოგონიძე, პაპიძე, გუჯაბიძე, სიჭინავა, ი. მახარაძე (ღლონტი, 85), თორღაშვილი, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, გადელია, ხომერიკი (აფხაზავა, 66).
***გოლი:*** ქობულაძე (73).
***გააფრთხილეს:*** ტოგონიძე, ანჯაფარიძე, მ. მახარაძე, გუჯაბიძე, კალანდაძე.
***მსაჯი:*** ა. შალიკაძე, (თბილისი).

**თსუ (თბილისი) – ვიტ-ჯორჯია (თბილისი) 2-5**
***თსუ:*** მერლანი, ქანთარია, თ. ჯაფარიძე, ინწკირველი (კ. ვასაძე, 74), გვალია, ბუკია (ებრაშვილი, 81), სვანიძე, ადამია, ბადაგიძე, დ. გოგოლაძე, პერტენავა (ჭელიძე, 56).
***ვიტ-ჯორჯია:*** ჭურაძე, ქემოკლიძე, ვ. მაისურაძე (ნოზაძე, 46), ბარქაია, ჭანკოტაძე, კ. ალადაშვილი, ჯ. მუჯირი (გ. გვაზავა, 61), დ. დოლიძე, მაზიაშვილი, გიორგი ქორიძე, ვ. გოჩაშვილი (ა. ბოკერია, 46).
***გოლები:*** მაზიაშვილი (7, 67, 39), ბუკია (22), მაისურაძე (42), ინწკირველი (74), ბოკერია (78).
***მსაჯი:*** ა. შალამბერიძე (ქუთაისი).

**გორდა (რუსთავი) – ლოკომოტივი (თბილისი) 0-2**
***გორდა:*** ბედიაშვილი, კედელაშვილი, ბექაური, სიდამონიძე, გაბელაია, ინასარიძე (მ. სახვაძე, 71), მელაძე, ზირაქაძე, ჩიგოშვილი (ციტეიშვილი, 54), კატარიძე, ალადაშვილი (ზ. ლაბაძე, 77).
***ლოკომოტივი:*** დოლაბერიძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, ბარნოვი, დ. მუჯირი (შ. ხუჯაძე, 80), გოგობერიშვილი, კაციაშვილი, ნ. მინდიაშვილი (დ. გოდერძიშვილი), კ. მელქაძე, გ. ღუდუშაური, კოტორაშვილი (დ. ბაქრაძე, 63).
***გოლები:*** გოგობერიშვილი (38, 56).
***მსაჯი:*** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).

**სიონი (ბოლნისი) – იბერია (სამტრედია) 1-0**
***სიონი:*** გუგუნავა, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე (ჩალაძე, 36), ტყავაძე (ლ. გაგუა, 84), მ. სამხარაძე, ჯაფარიძე, გოგოლაძე, თ. სამხარაძე, ისიანი, მოსეშვილი.
***იბერია:*** ვარდანიძე, ნიკოლეიშვილი, მიქელთაძე (ფხაკაძე, 80), ლურსმანაშვილი, მუმლაძე (ნ. გიორგაძე, 82), ს. გიგიაძე, ხუჭუა, ცომაია (ვარდიაშვილი, 67), ივეჩიანი, ვ. გიგიაძე, თოდუა.
***გოლი:*** მოსეშვილი (48).
***გააფრთხილეს:*** შაკიაშვილი
***მსაჯი:*** ლ. ფანიაშვილი (თბილისი).

**სამგურალი (წყალტუბო) – დილა (გორი) 3-1.**
***სამგურალი:*** ასლანაძე, მახვილაძე, ბურნაძე, ვოსკანოვი, გ. ჯანელიძე (ფრანგიშვილი, 46), ძაგნიძე, მ. ჯინჭარაძე, გ. კილასონია, პეტრიაშვილი, სუხაშვილი, გ. შენგელია (გლუნჩაძე, 73).
***დილა:*** თ. ილურიძე, ძაგნიძე, ხაჭაპურიძე, გ. ილურიძე, აკოფიანი (კარელიძე, 75) ლ. გოჩაშვილი, მარეხაშვილი, არუთუნიანი (საყვარელიძე, 75), სულთანიშვილი, რ. ახალკაცი, შატაკიშვილი (გუდურაშვილი, 75).
***გოლები:*** პეტრიაშვილი (10), კილასონია (18), ახალკაცი (54), შენგელია (70).
***გააფრთხილეს:*** ჯინჭარაძე, კილასონია, გოჩაშვილი.
***მსაჯი:*** ა. კრიჭაშვილი (თბილისი).



## XXVIII ტურის სტატისტიკა

● *ამ ტურის და საერთოდ ჩემპიონატის „მოვლენაა“ თბილისის „დინამოს“ გამარჯვება, რის შედეგად თბილისელები ზედიზედ მეათედ გახდნენ საქართველოს ჩემპიონები.*
● *ტურის **„მიღწევად“** შეიძლება ჩაითვალოს:*
*1. ზუგდიდის „ოდიშისა“ და ლანჩხუთის „გურიას“ შესაბამისად ზედიზედ მე-9 და მე-11 მარცხი.*
*2. ფოთის „კოლხეთი – 1913“-ს ზედიზედ 4 მატჩია (360 წთ.) ბურთი არ მიუღია საკუთარ კარში.*
*3. არც ერთი შეხვედრა ფრედ არ დამთავრებულა.*
● *8 მატჩში გატანილია 29 ბურთი (საშუალოდ ერთ მატჩში 3,6 ბურთი).*
*მასპინძლებმა გაიტანეს 19 ბურთი, სტუმრებმა კი 10.*
● *მასპინძლებმა გაიმარჯვეს 6 შეხვედრაში, სტუმრებმა 2.*
● *ტურში დაფიქსირდა 3 დიდი ანგარიშით მოგება. („დინამო“ თბ; „არსენალი“ და „ვიტ-ჯორჯია“).*
*სულ ჩემპიონატის დაწყებიდან დაფიქსირდა 46 „დიდი“ ანგარიშით მოგება. ამ მხრივ ლიდერობენ: „დინამო“ თბ. – 11; „ტორპედო“ – 7; „კოლხეთი – 1913“ – 6.*
*არც ერთი მატჩი დიდი ანგარიშით არ მოუგიათ: „ოდიშს“, „გურიასა“ და „სამგურალს“.*
● *ტურში აღინიშნა 3 „ჰეთ-თრიკი“: (აშვეთია – „დინამო“ თბ; ტარიელაშვილი – „არსენალი“ და მაზიაშვილი – „ვიტ-ჯორჯია“).*
*სულ ჩემპიონატის დაწყებიდან შესრულებულია 11 „ჰეთ-თრიკი“.*
● *აგრეთვე შესრულებულია 2 „დუბლი“: (ამბიძე – „მერანი-91“ და გოგობერიშვილი – „ლოკომოტივი“).*
*სულ ჩემპიონატის დაწყებიდან შესრულებულია 65 „დუბლი“.*
● *დღემდე „მშრალად“ შეინახეს თავიანთი კარი შემდეგი გუნდების მეკარეებმა: გუგუნავამ („სიონი“) – 2 ჯერ; დოლაბერიძემ („ლოკომოტივი“) – 6 ჯერ; გვასალიამ („კოლხეთი – 1913“) – 6 ჯერ; ჩლაიძემ („არსენალი“) – 10 ჯერ.*
● *ტურში გაფრთხილებულია 15 ფეხბურთელი.*
*ყველაზე „უხეში“ მატჩი იყო: „კოლხეთი“ – „დინამო“ ბთ. სადაც 5 ფეხბურთელი გააფრთხილეს.*

**● ბომბარდირები:**
*მ. აშვეთია („დინამო“ თბ.) – 24 ბურთი*
*დ. მახარაძე („გურია“) – 18*
*ზ. იონანიძე („ტორპედო“) – 15*
*დ. ჯანაშია („ტორპედო“) – 14*
*ლ. ხომერიკი („დინამო“ ბთ.) – 14*
*ე. გვასალია („კოლხეთი-1913“) – 13*
*გ. მეგრელაძე („ტორპედო“) – 13*
*ჰ. წივწივაძე („ლოკომოტივი“) – 13*
*ზ. ზირაქიშვილი („არსენალი“) – 12*
*რ. ალექსიძე („დინამო“ თბ.) – 12*
*გ. შენგელია („სამგურალი“) – 11.*

ვეფხვია ჯალაღონია,
აფხაზეთი, სოფ. ფშაფი.

## პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველოს" თასის გათამაშება მინიფეხბურთში

**III ტური**

ფალავანი — კავკასიონი 4-0
ვაკე 75 — მეტროპოლიტენი 1-4
მეტეხი — ვაკე-1 3-2
მაესტრო — ვერა 5-4
დიდუბე — 7 დღე 0-3 (არგამოცხადება)
მთაწმინდა — თემქა 8-0
სარბიელი — პლატო-99 5-4
სპორტ. საქართველო — მილანი-ავლაბარი 2-3
სონიკი — დრონი 2-4
დილომი — ლიდერი 3-0

| | | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | მეტეხი | 3 | 3 | 0 | 0 | 14-4 | 9 |
| 2. | დრონი | 3 | 3 | 0 | 0 | 11-2 | 9 |
| 3. | მაესტრო | 3 | 3 | 0 | 0 | 9-6 | 9 |
| 4. | ფალავანი | 3 | 2 | 1 | 0 | 13-3 | 7 |
| 5. | დილომი | 3 | 2 | 1 | 0 | 10-5 | 7 |
| 6. | მთაწმინდა | 3 | 2 | 0 | 1 | 17-3 | 6 |
| 7. | ვერა | 3 | 2 | 0 | 1 | 18-7 | 6 |
| 8. | სპორტ.საქართ. | 3 | 2 | 0 | 1 | 11-8 | 6 |
| 9. | მილანი-ავლაბ. | 3 | 2 | 0 | 1 | 10-8 | 6 |
| 10. | სარბიელი | 3 | 2 | 0 | 1 | 9-10 | 6 |
| 11. | 7 დღე | 3 | 2 | 0 | 1 | 8-9 | 6 |
| 12. | ვაკე-1 | 3 | 1 | 0 | 2 | 14-4 | 3 |
| 13. | მეტროპოლ. | 3 | 1 | 0 | 2 | 7-9 | 3 |
| 14. | პლატო-99 | 3 | 1 | 0 | 2 | 10-13 | 3 |
| 15. | კავკასიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 6-13 | 3 |
| 16. | ვაკე-75 | 3 | 0 | 0 | 3 | 7-14 | 0 |
| 17. | სონიკი | 3 | 0 | 0 | 3 | 5-14 | 0 |
| 18. | თემქა | 3 | 0 | 0 | 3 | 4-14 | 0 |
| 19. | ლიდერი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-12 | 0 |
| 20. | დიდუბე | 3 | 0 | 0 | 3 | 1-27 | 0 |

**IV ტურის მატჩები**

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სპორტდარბაზი

*22 მაისი. შაბათი*

13.00 მთაწმინდა — პლატო-99
14.00 სარბიელი — მილანი-ავლაბარი
15.00 სპორტული საქართ. — დრონი
16.00 სონიკი — ლიდერი
17.00 კავკასიონი — დილომი

*23 მაისი, კვირა*

11.00 ფალავანი — მეტროპოლიტენი
12.00 ვაკე-75 — ვაკე-1
13.00 მეტეხი — ვერა
14.00 მაესტრო — 7 დღე
15.00 დიდუბე — თემქა

მსურველებმა, ჩაერთონ შეჯიბრებაში, კერძოდ „ბ" ჯგუფში, მიმართონ რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტში (ი. ჭავჭავაძის გამზ. 49-) ტრისტან გელაშვილს ან თემურ დოლიძეს (ტელეფონები: 23-51-72, 23-55-93). მ. წლის 28 მაისის 17.00 სთ-მდე.

„ბ" ჯგუფის კენჭისყრა ჩატარდება 29 მაისს 18.00 სთ-ზე სპორტის დეპარტამენტის სპორტდარბაზში.

# რევოლუციის აჩრდილი ეროვნულ ნაკრებში

— ეროვნულ ნაკრებში მხოლოდ ის ლეგიონერი, რომელიც თავის კლუბში სტაბილურად თამაშობს ძირითად შემადგენლობაში ან ლიდერია — ასეთია საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელის იოჰან ბოსკამპის პრინციპი, რომელიც მან უკვე საქმით დაადასტურა, როცა განახლებული ნაკრების სავარაუდო შემადგენლობა დაასახელა ნორვეგიელებთან, ოსლოში 30 მაისის შეხვედრამდე ორი კვირით ადრე.

როგორც ჩანს, სწორედ აქედან იწყება ქართული ძმაბიჭობის, ნათლიმამური თუ ნათესაური მიდგომის აღსასრული, ეროვნული ნაკრების კანდიდატებთან მიმართებაში. ახალ შემადგენლობაში, ველარ ვხედავთ გიორგი ქინქლაძეს, რომლის მიმართ დიდხანს იყვნენ ეიფორიაში მისი გულშემატკივრები და იქნებ ამიტომაც მწვრთნელები მას ხელშეუხებლად მიიჩნევდნენ ნაკრებში.

ქინქლაძის გამოუძახებლობა ერთადერთი და გამონაკლისი არ არის. ბოსკამპმა იგივე „დიაგნოზი დაუსვა" გიორგი კიკნაძეს. ნაკრების ზოგიერთი ადრინდელი წევრის ისევ გამოძახება (მაგალითად, ვალტერ გუჩუა) და ახალი კანდიდატების თამამი შერჩევა გვაფიქრებინებს, რომ ბოსკამპი ნაკრების შინაარსობრივ-შემოქმედებით სახეცვლილებას აპირებს.

აი ვინ შეარჩია ბოსკამპმა.

**მეკარეები:** დავით გვარამაძე („დინამო", თბ), აკაკი დევაძე („ირონი", ისრაელი);

**მცველები:** კახი კალაძე („დინამო" უკრაინა), გივი დიდავა („დინამო" თბ), ბადრი ახვლედიანი („ტორპედო", ქუთაისი), მამუკა წერეთელი („ალანია", რუსეთი), ზურაბ ხიზანიშვილი („დინამო-2", თბ), ზურაბ ფოფხაძე („კრილია სოვეტოვი", რუსეთი), ვალტერ გუჩუა („დინამო" თბ);

**ნახევარმცველები:** გიორგი ნემსაძე („რეჯანა", იტალია), ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი („ფრაიბურგი", გერმანია), გოჩა ჯამარაული („ციურიხი", შვეიცარია), თემურ ქეცბაია („ნიუკასლი", ინგლისი), რატი ალექსიძე („დინამო", თბ);

**თავდამსხმელები:** შოთა არველაძე („აიაქსი" ჰოლანდია), არჩილ არველაძე („ბრედა", ჰოლანდია), გიორგი დემეტრაძე („ალანია", რუსეთი), მიხეილ ყაველაშვილი („გრასჰოპერსი", შვეიცარია), ზაზა ჯანაშია („ლოკომოტივი", რუსეთი).

# ბიჭებს ისევ უხმეს...

თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდი, რომელიც 1985 წელს დაბადებული ჭაბუკებითაა დაკომპლექტებული, კიდევ ერთხელ მიემგზავრება უცხოეთში თანატოლთა ტურნირში მონაწილეობისათვის. ამჯერად ისინი ჯერ ესპანეთში, შემდეგ კი საფრანგეთში იასპარეზებენ (მწვრთნელი ოთარ შენგელია). ადრე ეს გუნდი რამდენიმე ქვეყანაში გამოსულა წარმატებით, რამაც გაუთქვა კიდეც სახელი. ამასთან, ცალკეული მოზარდი ფეხბურთელები სხვადასხვა ქვეყნის საფეხბურთო ცენტრებშიც მიუწვევიათ ოსტატობის ასამაღლებლად.

ჩვენი ჭაბუკები ესპანეთში ხვალ გაემგზავრებიან ერევნის გავლით.

სააგენტო „გუმათი"

# ძველი მეგობრები ისევ შეხვდებიან ერთმანეთს საფეხბურთო მინდორზე

22 მაისს, 18 საათზე, ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება მანუჩარ მაჩაიძის დაბადებიდან 50 წლისადმი მიძღვნილი ამხანაგური საჩვენებელი მატჩი ყოფილ სსრკ-ის ნაკრებსა და თბილისის „დინამოს" ვეტერან ფეხბურთელებს შორის. სსრკ-ის ნაკრების შემადგენლობაში ითამაშებენ დასაევი, ხიდიატულინი, გავრილოვი, პაპაევი, ნიკონოვი, სუჩილინი, გაზაევი, ესკოვი, იაკუბიკი, ზანაზანიანი, ოგანესიანი, მესროფიანი, პეტროსიანი, ჯავადოვი, ახმედოვი, ტროშკინი, რეშკო, მუნტიანი, მატვიენკო, ხმელნიცკი.

# კიგანი – ინგლისის ნაკრების სათავეში

*წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა კევინ კიგანმა ხელი მოაწერა კონტრაქტს ინგლისის ფეხბურთის ფედერაციასთან, რომლის ძალითაც იგი ამ ქვეყნის ნაკრებს 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბოლომდე უთავკაცებს. ამ პოსტზე კიგანი უეცრად არ მოსულა — იქვე მთავარი მწვრთნელის მოვალეობას ასრულებდა, ძირითადად კი მესამე დივიზიონის კლუბ „ფულხემში" მუშაობდა. კლუბი მისი ხელმძღვანელობით მომავალი სეზონისთვის მეორე დივიზიონში გადავიდა.*

*საგულისხმოა, რომ ინგლისის ნაკრების ხელმძღვანელად ცნობილ იტალიელ სპეციალისტს ფაბიო კაპელო მოიაზრებდნენ, მაგრამ ამ უკანასკნელმა ეს ხმები კატეგორიულად უარყო მოსკოვში უეფას თასის ფინალზე სტუმრობისას, რაც გამართლდა კიდეც. კაპელო თურმე ოცნებობს თავის ქვეყანაში სათავეში ჩაუდგეს „ლაციოს", „რომას" ან „ფიორენტინას".*

## გივი ნოდია საქართველოს უძლიერეს საფეხბურთო გუნდებს რუსეთის მეორე დივიზიონის დონეზე აყენებს

*„ვფიქრობ, მხოლოდ ორ-სამ ქართულ გუნდს თუ შეუძლია თანაბარი ძალით ითამაშოს რუსეთის მეორე დივიზიონის კლუბებთან. დანარჩენები — სუსტები არიან" — განაცხადა პეტერბურგის „ლოკომოტივის" უფროსმა მწვრთნელმა გივი ნოდიამ ამ დღეებში მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში.*

**«ევრო–2008» ● კანდიდატები**

# რუსეთი 8 წლით წინ იხედება

მას შემდეგ, რაც მოსკოვმა უეფას თასის გათამაშების ფინალს წარმატებით უმასპინძლა და ლუჟნიკის სტადიონმა ხუთვარსკვლავიანი არენის სერტიფიკატი მიიღო, კიდევ უფრო გააქტიურდნენ რუსეთის ქალაქებში „ევრო-2008"-ის მასპინძლების მხარდამჭერები. მათ იმედი აქვთ მხარს დაუჭერენ რუსეთის სპორტული და სამეურნეო ორგანიზაციები. მაგრამ უეფა მოითხოვს, რომ ჩემპიონატს მინიმუმ ოთხმა ქალაქმა უნდა უმასპინძლოს. ამასთან, თითოეულ ქალაქში ჩემპიონატის მატჩებს უნდა მოემსახუროს მხოლოდ ერთი სტადიონი, მინიმუმ 40 ათასი ადგილით, ქალაქს უნდა გააჩნდეს აეროპორტი, კომფორტაბელური სასტუმროები და იძლეოდეს უსაფრთხოების გარანტიას. მოსკოვი, ცხადია, აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს. რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლესკოვმა კანდიდატ ქალაქებად დაასახელა აგრეთვე სანკტ-პეტერბურგი, ვლადიკავკაზი, სამარა, ვოლგოგრადი, როსტოვი, ნიჟნინოვგოროდი და იაროსლავლი.

# ვენუს უილიამსი ოჯახში პირველი ჩოგბურთელი ვარ

**ვენუს უილიამსი რომ აშკარად მომძლავრდა, ამას რაღა მტკიცება უნდა. აი, რამდენიმე ნაწყვეტი ახალგაზრდა ჩოგბურთელის ბოლო ინტერვიუდან.**

● *თქვენ რომის საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვეთ. ნახევარფინალში მსოფლიოს პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისს სძლიეთ, ფინალში კი მარი პირსს. ეს გაძლევთ თუ არა პარიზში „როლან გაროსში" გამარჯვების შესაძლებლობას?*

— ორ კვირას შეუპოვრად ვიმუშავებ. მინდა შევინარჩუნო კონცენტრაცია და თამაშის დონე. თუმცა, უნდა გითხრათ, მინდა მაინც უკეთესად ვთამაშობდე.

● *„გრუნტზე" უკეთესზე თამაშს გულისხმობთ?*

— ასეთ ტურნირებში გამოსვლის დიდი სპეციალისტი არა ვარ, და ვცდილობ თითოეულ ასპარეზობაში რაღაც ვისწავლო. როცა ვამბობ „მინდა უკეთ ვითამაშო", აქ კი საერთოდ ჩოგბურთის უკეთ თამაშს ვგულისხმობ.

● *რას ნიშნავს თქვენთვის დიდი საერთაშორისო ტურნირების ფინალში გასვლა?*

ნამდვილად ამაღლებული გრძნობა გახლავთ. განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩემთან არის უცმროსი და სერენა. ლიპტონში ჩვენ ფინალურ მატჩში შევხვდით ერთმანეთს, თუმცა აქამდე სხვადასხვა გზით მოვედით.

● *ეტყობა, სათითაოდ თქვენზე ლაპარაკი საჭირო არ არის. ამიტომ ორივეს ერთად გახსენებთ. თქვენ ხელს უწყობთ თუ არა უმცროსი დის წარმატებებს?*

— ყველაფერს ვაკეთებ მის დასახმარებლად. სერენაც ყველაფერს აკეთებს, რომ დამეხმაროს.

● *არჩევთ თქვენს მატჩებს, თუ არა?*

— როგორც წესი, არ ვარჩევთ.

● *ლიპტონის ტურნირის ნახევარფინალში შტეფი გრაფს მოუგეთ. ეს თქვენთვის მოულოდნელი შედეგი იყო?*

— მიყვარს კარგი ჩოგბურთის თამაში. იმ დღეს კარგად ვთამაშობდი, ყოველ შემთხვევაში, უკეთესად ვიდრე შტეფი. ამასთან, ჩემი გამარჯვება, გარკვეული გაგებით, მაინც მოულოდნელი იყო, რადგან წინა შეხვედრა გრაფთან ჩემი დამარცხებით დასრულდა.

● *ამ ბოლო ხანებში თქვენი თამაში მეტად ბუნებრივის შთაბეჭდილებას სტოვებს. სწრაფ ჩოგბურთს თამაშობთ და მძლავრადაც ურტყამთ, მაგრამ ისე მოქმედებთ, თითქოს კორტზე დასეირნობთ.*

— ვფიქრობ, ჩოგბურთის თამაშის ბუნებრივი ნიჭი მაქვს. ამასთან, ბევრს ვვარჯიშობდი, როგორ მომეთავსებინა ბურთი საჭირო ადგილას, როგორ უნდა მემოძრავა კორტზე, როგორ შემეცვალა ტაქტიკა ამათუიმ მეტოქესთან შეხვედრაში. ამ მეცადინეობის გრძელი გზა გავიარე.

● *ხომ არ ფიქრობთ რომ ქალთა ჩოგბურთში ახალი ერა დაიწყო?*

— დიახ, შეიძლება ითქვას.

● *არ გიყვართ წაგება.*

— დიახ, მაგრამ არც ძალიან გავმწარდები ხოლმე.

● *ერთ პრესკონფერენციაზე სერენას ჰკითხეს, მარტინა ჰინგისთან შეხვედრა არის თუ არა მისთვის სერიოზული გამოცდა. მან ასე უპასუხა:*



*„არ არის". „მაშ რომელილაა?" თქვენ როგორლა ფიქრობთ — უპასუხა სერენამ „ასეთია ეტყობა დასთან შეხვედრა". და სერენა დაეთანხმა კიდეც. თქვენ რაღას იტყვით?*

— მე იგივეს ვიტყოდი. სერენა ჩემთვის ძალიან ძნელი მეტოქეა.

● *თქვენი გულშემატკივრები მარტო თქვენს თამაშზე კი არ ლაპარაკობენ, არამედ კოსტუმებზედაც. თქვენ მას დიდ ყურადღებას აქცევთ?*

— დიახ. მე ყურადღებას ვაქცევ მოდას. იმას, თუ როგორ ვარ ჩაცმული და როგორ აღმიქვამს მაყურებელი, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ეტყობა, შემდეგში ტანისამოსის მოდელირებით დავინტერესდები.

● *ცდილობდით თქვენი კოსტიუმების მოდელირებას?*

— ჯერჯერობით მხოლოდ სავარჯიშო კოსტუმებისა. მაგრამ ზოგი აშშ-ს ლია პირველობაზეც წავიღე. მიყვარს რაიმე არაჩვეულებრივის გამოგონება.

● *როგორც ეტყობა, გულშემატკი-*

იხ. მე–6 გვ.

# ეროვნული ჩემპიონატები

**ინგლისი. ბოლო ტური**

მანჩესტერი — ტოტენჰემი 2-1, არსენალი, ასტონ ვილა 1-0, ნიუკასლი — ბლეკბერნი 1-1, ჩარლტონი — შეფილდი 0-1, ჩელსი — დერბი 2-1, ქოვენთრი — ლიდსი 2-2, საუთჰემპტონი — ევერტონი 2-0, ნოტინგემი — ლესტერი 1-0, ლივერპული — უიმბლდონი 3-0, ვესტ ჰემი — მიდლსბრო 4-0.

ჩემპიონი გახდა მანჩესტერი, მეორე ადგილზე გავიდა არსენალი, მესამეზე — ჩელსი. თემურ ქეცბაიას ნიუკასლი კი მეცამეტეზე.

**გერმანია. XXXII ტური**

ნიურნბერგი — ბაიერნი 2-0, შტუტგარტი — ფრაიბურგი 3-1, ჰერტა-ჰანზა 2-0, ბოხუმი — გოლსფბურგი 0-2, ბორუსია (მ.) — ჰამბურგი 2-2, მიუნხენ 1860- ვერდერი 1-3, აინტრახტი — ბორუსია (დ.) 2-0, შალკე — კაიზერსლაუტერნი 0-2, დუისბურგი — ბაიერი 0-0.

*ლიდერობენ:* ბაიერნი (72), ბაიერი (63), ჰერტა (56). ფრაიბურგი 36 ქულით მე-12 ადგილზეა.

**იტალია. XXXIII ტური**

ფიორენტინა — ლაციო 1-1, ბარი — იუვენტუსი 0-1, ბოლონია — სამპდორია 2-2, პარმა — პიაჩენცა 0-1, რომა-კალიარი 3-1, სალერნიდანა — ვიჩენცა 2-1, უდინეზე — პერუჯა 1-2, ვენეცია — ინტერი 3-1, მილანი — ემპოლი 4-0.

*ლიდერობენ:* მილანი (67), ლაციო (66), პარმა (55).

**ესპანეთი. XXXIV ტური**

რასინგი — მალიორკა 1-0, ატლეტიკი — ვილიარეალი 2-0, ბარსელონა — ვალიადოლიდი 1-1, სელტა — სოსიედადი 2-2, ესტრემადურა — ტენერიფე 1-0, ბეტისი — დეპორტივო 0-3, რეალი — ოვიედო 2-1, სარაგოსა — ატლეტიკო 2-0, სალამანკა — ალავესი 1-0, ვალენსია — ესპანიოლი 1-2.

*ლიდერობენ:* ბარსელონა (70), მალიორკა (60), რეალი (59).

**ბელგია. ბოლო ტური**

აალსტი — ოსტენდე 4-0, ლიერსი — სტანდარდი 3-0, ლოკერენი — გენტი 1-4, პარელბეკი — გენკი 1-2, ანდერლეხტი — კორტრაიკი 3-1, ლომელი — შარლერუა 2-1, სენტ-ტრუიდენი — ბევერნი 1-1, ეკერენი — მუსკრონი 1-1, ბრიუგე — ვესტერლო 5-3.

ჩემპიონი გახდა გენკი, მეორე აგილზე გავიდა ბრიუგე, მესამეზე — ანდერლეხტი.

**ჰოლანდია. XXXIII ტური**

აიაქსი — ვაალვაიკი 2-0, კამბური — ტილბურგი 0-2, მაასტრიხტი — ჰერენვენი 1-0, ნაიმეგენი — ფეიენოორდი 0-3, ეინდჰოვენი — ალკმაარი 7-1, როდა — უტრეხტი 3-0, სპარტა — ფორტუნა 5-0, ტვენტე — ბრედა 2-2, ვიტესი — გრააფსხაფი 2-1.

*ლიდერობენ:* ფეიენოორდი (77), ტილბურგი (65), ვიტესი (61), აიაქსი 56 ქულით მეექვსე ადგილზეა, ბრედა 22 ქულით — ბოლოზე.

**პორტუგალია. XXXIII ტური**

ბრაგა — სპორტინგი 2-0, ბენფიკა — შავეში 4-1, გიმარაეში — მარიტიმუ 1-1, ალვერკა — ფარენსე 1-3, ლეირია — რიუ ავე 2-0, სალგეირეში — ამადორა 1-1, სეტუბალი — კამპომაიორენსე 2-0, პორტუ — აკადემიკა 7-1.

*ლიდერობენ:* პორტუ (75), ბოავიშტა (67), ბენფიკა (61).

**შვეიცარია. ფინალური ეტაპის XI ტური**

ლუცერნი — სენტ-გალენი 2-1, ქსამაქსი — ლოზანა 1-1, სერვეტი — გრასჰოპერსი 0-0, ციურიხი — ბაზელი 2-1.

*ლიდერობენ:* გრასჰოპერსი (40), სერვეტი (39), ლოზანა (39).

**შოტლანდია. XXXV ტური**

სელტიკი — აბერდინი 3-2, დანდი — დანფერმლაინი 3-1, ჰართსი — დანდი იუნაიტედი 4-1, კილმარნოკი — სენტ-ჯონსტონი 1-1, მოზერველი — რეინჯერსი 1-5.

*ლიდერობენ:* რეინჯერსი (76), სელტიკი (68), კილმარნოკი (55).

**რუსეთი. VII ტური**

როტორი — სპარტაკი 3-3, ლოკომოტივი — დინამო 2-1, ცსკა — ჩერნომორეცი 5-2, ტორპედო — შინიკი 0-0, როსტსელმაში — შინიკი 2-1, სატურნი — ალანია 0-1, ლოკომოტივი (ნ. ნოვგოროდი) — ურალანი 1-2, ჟემჩუჟინა — კრილია სოვეტოვი 0-2.

*ლიდერობენ:* სპარტაკი (25), დინამო (16), ტორპედო (15).

**ფორმულა-1**

# შუმახერი ლიდერობს

წლევანდელმა, 50-ე საიუბილეო მსოფლიო ჩემპიონატმა ავტორბოლაში „ფორმულა — 1“ ავსტრალიისა და ბრაზილიის შემდეგ ევროპასაც მიაშურა, კერძოდ იტალიის იმოლის ტრასას, სადაც გაიმართა მე-3 ეტაპი „სანმარინო გრან-პრი“, რომლის მონაწილეებს 4930-მეტრიან ტრასაზე 62 წრე უნდა დაერტყათ.

რბოლა მსოფლიო ორგზის ჩემპიონის „ფერარის“ წარმომადგენლის მიხაელ შუმახერის ბრწყინვალე გამარჯვებით აღინიშნა. ამაში დიდად „დაეხმარა“ შარშანდელი ჩემპიონი, ფინელი ლიდერი მიკა ჰაკინენი, რომელმაც მე-17 წრეზე წაიბორძიკა და გამოეთიშა ბრძოლას. წინ გაიჭრა „მაკლარენის“ მეორე წარმომადგენელი შოტლანდიელი დევიდ კულტხარდი, რომელსაც „თვალში ჩაუჯდა“ ექს-ჩემპიონი, მალე შთანთქა 20-წამიანი გარღვევა და 36-ე წრიდან წინ გაიჭრა. მან მომდევნო წრეებზე უფრო გაზარდა სხვაობა დროში და პირველი მიიჭრა ფინიშთან. მას პირველმა კულტხარდმა მიულოცა გამარჯვება. სეზონში პირველი მოგებით მან პირველობა მოუტანა „ფერარის“ იმოლიზე, რომელსაც გუნდი 16 წელიწადს ელოდა. ამ გამარჯვებით კონსტრუქტორთა თასზე 28 ქულით დაწინაურდა „ფერარი“, მეორეა „მაკლარენი“ — 16, მესამე — „ჯორდანი“ — 13.

გუშინ ფორმულა-1-ის მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხე ეტაპი — „გრან პრი მონაკო“ ფერარის გუნდმა ტრიუმფით დაამთავრა. პირადი პირველობის ლიდერობა შეინარჩუნა მიხაელ შუმახერმა, რომელიც 26 ქულით საგრძნობლად უსწრებს თანაგუნდელ ედი ირვინს — 18 ქულა, მესამეა მსოფლიო ჩემპიონი მიკა ჰაკინენი — 14, შემდეგ არიან ჰონც ფრენტცენი — 13, რალფ შუმახერი — 7, ჯანკარლო ფიციკელა — 7, დევიდ კულტჰარდი — 6, რუბენს ბარიჩელო — 6, რეიმონ ჰილი — 3, ოლივიე პანი — 1.



კონსტრუქტორთა თასის გათამაშებას დამაჯერებლად ლიდერობს ფერარის გუნდი.

## „ტოტო-ლოტო“ — მილიონთა თამაში!

*16 მაისს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“, თანმხლები „სუპერ-7“ ტირაჟის მეცხრამეტე გათამაშება.*

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:
**4. 10. 24. 27. 33. 35.**
3 ციფრი - 1.50 ლარი.
4 ციფრი - 12.80 ლარი.
5 ციფრი - 289.70 ლარი (გადავიდა მომდევნო ტირაჟში)
6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.

**„ჯეკ-პოტი“ 32 239 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

„სუპერ-7“-ის მომგებიანი ციფრებია: **3. 1. 5. 6. 7. 5. 7.**
**შემდეგი** ტირაჟი შედგება 23 მაისს.

ტირაჟის დროს გათამაშდა მომენტალური ლატარიების „გოლი-98“-ის და „ოლიმპის“ მოუგებელ ბილეთებზე ფულადი და ნივთობრივი მოგებები.

***ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!***

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

**ჩოგბურთი**

# ვინ რამდენი მიიღო

*სპორტული პრესა ხშირად წერს ჩოგბურთელების შემოსავლებზე. როგორია ამ მხრივ მდგომარეობა დღეისათვის?*

წლის დასაწყისიდან ყველაზე მეტი საპრიზო თანხა — 758785 დოლარი მიიღო რუსმა ევგენი კაფელნიკოვმა.

გადავხედოთ სხვებსაც: მარსელო რიოსი (ჩილე) — 655 530, გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) — 647 556. რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) — 612 984, მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — 520 617, კარლოს მოია (ესპანეთი) — 478 492. ტიმ ჰენმანი (ინგლისი) — 460 124, თომას ენკვისტი (შვეცია) — 441 003. ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) — 377 506. ფელიქს მანტილია (ესპანეთი) — 374 352. ტომი ჰაასი (გერმანია) — 360 016. ნიკოლას კიფერი (გერმანია) — 329 844. ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — 313 021. მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) — 301 866. სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) — 293 807. ტოდ მარტინი (აშშ) — 281 937. უეინ ბლეკი (ზიმბაბვე) — 281 357. ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) — 268 622. გრეგ რუსედსკი (ინგლისი) — 260 916. ალბერტო კოსტა (ესპანეთი) — 244 012.

# ერთი ნაბიჯიღა დააკლდა

კვირას დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი რომში, ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრება „როლან გაროსის“ წინ.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გუსტავო კუერტენი (ბრაზილია), რომელსაც ამ სეზონში დიდი წარმატებები აქვს, და პატრიკ რაფტერი (ავსტრალია). გამარჯვების შემთხვევაში ავსტრალიელი „რეიტინგ-ლისტში“ შეავიწროებდა ევგენი კაფელნიკოვს და პირველ ადგილზე გადადიოდა, მაგრამ სამსეტიანი მატჩი მოიგო... გუსტავო კუერტენმა.

**ჰოკეი**

# ჩეხები - მსოფლიო ჩემპიონები

*კვირას ნორვეგიაში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში, რომელმაც, მიმომხილველთა აზრით, ხაზი გაუსვა ევროპელთა ამჟამინდელ უპირატესობას ამერიკულ-კანადურ სკოლასთან.*

*ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხეთისა და ფინეთის ნაკრებები. შაბათს ჩეხებმა გაიმარჯვეს — 3:1, კვირას — ფინელებმა 4:1, მაგრამ ოვერტაიმში უპირატესობას ჩეხებმა მიაღწიეს და მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეს.*

*როგორც რუსული პრესა აღნიშნავს, მათი ეროვნული ნაკრები, რომელსაც ოდესღაც დიდი წარმატებები ჰქონდა, უკვე მეექვსე წელია ზედიზედ შინ უმედოდ ბრუნდება.*

# ვენუს უილიამსი: ოჯახში პირველი ჩოგბურთელი ვარ

(მეხუთე გვერდიდან)

*ვრები ახლა ქალთა ჩოგბურთს უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე ვაჟთა შეჯიბრებებს. თქვენ როგორ თვლით?*

— ვფიქრობ, ახლა ქალთა ჩოგბურთში უფრო მეტი ცვლილებებია. ბევრი ნიჭიერი ჩოგბურთელი ქალი დაწინაურდა. წინა წლებთან შედარებით ქალთა ჩოგბურთის დონე მკვეთრად გაიზარდა. ყველას უნდა თავისი კუთვნილი „ნაზუქი“ მიიღოს. ქალები ამბობენ: „მოგება მინდა, წაგება აღარა მსურს“. ამასთან, ყველა ფიქრობს, რომ მოგების ღირსია. მაგრამ გამარჯვება ხომ ერთ რომელიმე მხარეს გადაიწონის ხოლმე.

● ***ხომ არ ფიქრობთ, რომ ასეთი სიტუაცია მარტო ჩოგბურთში კი არა, საერთოდ, ქალთა სპორტში შეიქმნა?***

— ამაზე რაიმე გარკვეულის თქმა გამიჭირდება. სამწუხაროდ, სპორტის სხვა სახეობებს თვალყურს ვერ ვადევნებ და მხოლოდ ჩოგბურთზე შემიძლია ლაპარაკი.

● ***შეიცვალა თუ არა ბოლო წლებში ქალ ჩოგბურთელთა თამაშის სტილი?***

— დიახ, ახლა ყველას უნდა დიასახლისის როლი ითამაშოს. როცა 80-იანი წლების ბოლოს თამაში დავიწყე და ყურადღება მივაპყარ მოწოდებასა და ძლიერ დარტყმას, იფიქრეს: ეს ჩვენთან ახალი ამბებია, რაიმე უნდა დავუპირისპიროთ.

● ***თქვენ არაერთგზის განაცხადეთ, რომ ბოლო ხანს თამაში გააუმჯობესეთ. რაში გამოიხატება ეს გაუმჯობესება?***

— მე სუსტად ვურტყამდი მარჯვენათი. ეს ძალიან მაღიზიანებდა და მაიძულებდა ბევრი მემუშავა ნაკლის გამოსასწორებლად. ახლა, როგორც ხედავთ, ადრინდელი ნაკლი მთლიანად დავძლიე. ახლა ხშირად გავდივარ ბადესთან, რასაც ადრე საერთოდ გავურბოდი. ბურთს უკეთ ვადევნებ თვალს, უფრო გაბედულად ვთამაშობ. ვფიქრობ, მთლიანობაში თუ ავიღებთ, ჩოგბურთი უკეთ მესმის.

● ***თქვენს ოჯახში პირველი ჩოგბურთელი ხართ?***

— ალბათ, უილიამსების ოჯახში ყველაზე მაღალი რეიტინგი სწორედ მე მაქვს.

● ***როცა ლიპტონის ტურნირის ფინალში სერენა დაამარცხეთ, რა უთხარით მას მატჩის შემდეგ?***

— არაფერი. რაიმეს თქმისაგან თავი შევიკავე.

● ***როგორ მოექცით ერთმანეთს საოჯახო ვითარებაში ფინალური შეხვედრის წინ? რას აკეთებდით, რაზე ლაპარაკობდით?***

— ორივემ დილის 8 საათზე გავიღვიძეთ, თუმცა ჩვეულებრივ 11 საათზე ვდგებოდით. სახლში ვხეტიალობდით და ვხუმრობდით. ამ დილით გვარიანად არც კი გვივარჯიშია.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**18 მაისი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** სპორტული პროგრამა — 1. ასპარეზი, 2. ოლიმპიური პანორამა (საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის ვიზიტი საქართველოში) — 22.20, ***II არხი.*** სუპერ-მატჩი (20.00), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00), ***საქართველოს ხმა.*** მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის ჩემპიონატი (13.15, 21.15), გერმანიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (16.15, 0.25), ინგლისის ჩემპიონატი (17.15, 20.15), ცხენოსნობა, დოღი. გადაცემა აშშ-დან (16.30), ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერ-ლიგა: „ტოტენჰემ ჰოტსპური„ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ (14.30), უეფა. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (18.00), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროგოლები (15.00), „მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდები“ (1.00).

**19 მაისი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. უეფა. თასების მფლობელთა თასის თამაშების ფინალი: „მალიორკა“ (ესპანეთი) — „ლაციო“ (იტალია) — პირდაპირი რეპორტაჟი ОРТ-დან (23.45), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00), ***საქართველოს ხმა.*** უეფა. თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალი: „მალიორკა“ (ესპანეთი) — „ლაციო“ (იტალია) — 23.30, ***ევრიკა.*** „სტუმარი“ (21.30), ***НТВ плюс футбол.*** იტალიის ჩემპიონატი (13.15, 21.00), ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.55, 23,45), ესპანეთის ჩემპიონატი (18.30, 1.10), ჰოლანდიის ჩემპიონატი (22.05). ***НТВ плюс спорт.*** კარატე (კეკუსინ-კაი) — 20.30, ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (4.00, 10.00), ფეხბურთი. უეფა. თასების მფლობელთა თასის ფინალი: „მალიორკა“ (ესპანეთი) — „ლაციო“ (იტალია) — 22.30, ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროგოლები (12.00).

**20 მაისი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00), ***საქართველოს ხმა.*** მსოფლიოს სტადიონებზე (12.30, 19.30), ***ევრიკა.*** „ფეხბურთის ლეგენდები“ (21.30), ***НТВ плюс футбол.*** იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.30, 1.15), ჰოლანდიის ჩემპიონატი (16.50, 19.20), ევროპის საფეხბურთო კვირეული (21.05), „მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები“ (22.40), შოტლანდიის ჩემპიონატი (23.30), ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. სარაევოს სუპერტურნირი (11.55), ***ESPN.*** ფეხბურთი: ევროპის ქვეყნების ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა (22.00), ინგლისის პრემიერლიგის მიმოხილვა (23.00), ***EUROSPORT.*** სპიდვეი. მსოფლიო ჩემპიონატი (14.00), „მსოფლიოს ფეხბურთის ლეგენდები“ (16,00).

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ბილიარდის ნაირსახეობა, 6. სახელგანთქმული უნგრელი ფეხბურთელი, 9. ავსტრიის საფეხბურთო კლუბი, 12. წარსულში გამოჩენილი ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი, 13. ხორვატი ჩოგბურთელი, 16. ცურვის სტილი, 18. ანტიკური ოლიმპიური თამაშების პროგრამის ერთ-ერთი სახეობა, 21. ცნობილი იტალიელი მწვრთნელი ფეხბურთში, 26. თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელი 1959-67 წლებში, 27. რუმინეთის ნაკრების თავდამსხმელი, 28. ავსტრიის ნაკრების ნახევარმცველი 1945-62 წლებში, 29. გამოჩენილი რუსი ფეხბურთელი და მწვრთნელი, 30. ატლანტას ოლიმპიადის ჩემპიონი ფეხბურთში, 31. ქართველი მოჭადრაკე ქალი, 32. დისტანციის ცალკეული მონაკვეთი, 34. ანტიკურ ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებული სპორტსმენი, 36. „აიაქსის“ ნიგერიელი ნახევარმცველი, 40. სახელგანთქმული გერმანელი ფეხბურთელი და მწვრთნელი, 47. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი, 48. მექსიკის საფეხბურთო კლუბი, 51. სპორტული გუნდური თამაში, 53. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი.

**შვეულად:** 2. სასომხეთის საფეხბურთო კლუბი, 3. ქართველი მოჭიდავე, მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი მძიმე წონაში, 4. სამწუთიანი დროის მონაკვეთი კრივში, 5. მოჭადრაკის წოდება, 6. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი, 11. „მილანის“ არგენტინელი მცველი, 16. გამოჩენილი ქართველი მოჭიდავე და მწვრთნელი, 17. „პარმას“ კოლუმბიელი თავდამსხმელი, 18. „იუვენტუსის“ ყოფილი თავდამსხმელი, 19. იტალიელი ფორვარდი, ევროპის 1968 წლის ჩემპიონი, 20. სახელის ან გვარის პირველი ასო, 22. ქართველი მოფარიკავე, ოლიმპიური ჩემპიონი, 23. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 24. „უნივერსიტატეას“ და რუმინეთის ნაკრების მეკარე. 25. „იუვენტუსის“ პრეზიდენტი, 39. თბილისის „დინამოს“ მეკარე 1945-50 წლებში, 40. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 42. ჰოლანდიელი თავდამსხმელი, 1978 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, 43. 1950 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, 45. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 46. სახელგანთქმული ფინელი მორბენალი.

**დიაგონალურად:** 16-7. არგენტინელი ნახევარმცველი, 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 17-8. ფიფა-ს პრეზიდენტი 1974-98 წლებში, 9-22. ქართველი მოჭადრაკე ქალი, 10-23. ცნობილი ბრაზილიელი მწვრთნელი ფეხბურთში, 14-19. იალქნის სამაგრი ბოძი, 19-15. სპორტული ნაგებობა, 32-49. საჭადრაკო პარტიის დასკვნითი სტადია, 33-50 მადრიდის „რეალის“ და ესპანეთის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, 41-35. ფრანგი სამთო-მოთხილამურე, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 35-44. „ვალენსიას“ რუმინელი თავდამსხმელი, 51-37. ინგლისის ნაკრების მეკარე 1972-83 წლებში, 52-38. თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველი 1954-67 წლებში.



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:



## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

1. კe8! მფb3 2. კ:a4+! მფ:a4 3. ეc3 მფa5 4. ეa3X, 2. ...მფa3 3. მფc4 მფ:a4 4. ეa2X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: ძაბული წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდამონიძე